გამოინერეთ გაზეთი, რომელიც მხოლოდ სიმართლის ენით გელაპარაკებათ!

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტითის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

შაბათი, 3 დეკემბერი. 2016 წ. №226 (8117), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ლარი! დოლარი! საკითხავი აი, ეს არის!

ნუთუ ლეგიტიმურია ქვეყნის „აყირავებასთან“ დაკავშირებული ჭორი?

③

მიხეილ დუნდუა:
მსხვილი ეკონომიკური მოთამაშეებით სამართალდამცავები უნდა დაინტერესდნენ

②

კობა გვენეტაძე:
ეს გარკვეული მოლოდინებიდან შექმნილი აჟიოტაჟი იყო!

ეს ჩვენი საქართველოა!

④

სილარიბის უფლება არა გვაქვს!

ბუნებრივი რესურსები ქვეყნის სამსახურში

- ევროკავშირის ბაზარი ჩვენებურ თაფლს ელოდება
- არაბებმა ისევ ქართულ ცხვარს დაადგეს თვალი
- ისრაელური არქიტექტურული აზრი ქართულ სივრცეში

⑤

⑧

საკაშვილმა ოდესაში ფულის კეთების ახალი ხერხი მოიგონა, რუსი დეპუტატები კი ხუმრობის ხასიათზე დადგნენ

სამთავროს მონასტერში მუზეუმი დაარსდა

⑥

კვირაპალოს საკითხავი

⑦



არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე):

„კომბლე და ნაცარქექია ჩვენი ოჯახის წევრები არიან...“

ფედერიკა მოგერინი: დარწმუნებული ვარ, რომ დარჩენილია ბოლო ნაბიჯი!

ПРОЦЕСІС დაწყებისთანავე ვიყავი ოპტიმისტურად განწყობილი და ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ დარჩენილია ბოლო ნაბიჯი, — განაცხადა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელმა ფედერიკა მოგერინიმ ბრიუსელში საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან შეხვედრის შემდეგ.

როგორც მოგერინიმ აღნიშნა, საქართველომ არაჩვეულებრივად იმუშავა ყველა კრიტერიუმის დასაკმაყოფილებლად.

„პრემიერ-მინისტრი და მე ვმუშაობთ ამ საკითხზე ევროკავშირში ჩვენს კოლეგებთან. საქართველომ არაჩვეულებრივად იმუშავა ყველა კრიტერიუმის დასაკმაყოფილებლად. დარწმუნებული ვარ, რომ ამ პროცესზე ნეგატიურ გავლენას ვერაფერი მოახდენს. კონკრეტულ თარიღს ვერ დავასახელებ, რადგან ახლა პროცესის დასრულება ევროპარლამენტისა და ევროკავშირის ხელშია. საქმე ეხება არა გადაწყვეტილების მიღებას, არამედ პროცედურის დასრულებას. ეს არ ეხება პოლიტკურ ნებას ან საქართველოს, ეს ეხება შეჩერების მექანიზმთან დაკავშირებული აუცილებელი პროცედურის დასრულებას ევროკავშირში. დარწმუნებული ვარ, რომ ეს მალე მოხდება“, — აღნიშნა ფედერიკა მოგერინიმ.

მიხეილ დუნდუა: მსხვილი ეკონომიკური მოთამაშეებით სამართალდამცავები უნდა დაინტერესდნენ

ЕКОНОМИСТИ და საზოგადოება 20/30-ის წევრი მიხეილ დუნდუა ეროვნული ვალუტის უპრეცედენტო გაუფასურებას სახელმწიფოს წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯს უწოდებს.როგორც გუშინდელ ბრიფინგზე დუნდუამ განაცხადა, ის, რაც გუშინწინ მსხვილმა ეკონომიკურმა მოთამაშეებმა გააკეთეს, ანტისახელმწიფოებრივი ქმედება იყო, რითიც სამართალდამცავები უნდა დაინტერესდნენ.

„რაც გააკეთეს უმსხვილესმა მოთამაშეებმა, ამის გამო უმწვავესად და უმკაცრესად უნდა მოეთხოვოთ მათ პასუხი. ეს იყო ანტისახელმწიფოებრივი მოქმედება და ამის გამო ისინი უნდა დაისაჯონ. რაც გაკეთდა, იყო მოქმედება ხალხის წინააღმდეგ. ეს სცილდება ეროვნული ბანკის ფარგლებს და სამართალდამცავები აუცილებლად უნდა დაინტერესდნენ... — აცხადებს მიხეილ დუნდუა.

„რუსთავი-2“: გადაწყვეტილების მიღების პროცესი იქნება გამჭვირვალე!..

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბრიუსელში, ფედერიკა მოგერინისთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით დასმულ კითხვას უპასუხა და განაცხადა, რომ სასამართლო პროცესი იქნება გამჭვირვალე და ტელეკომპანიის სარედაქციო პოლიტიკაში მთავრობის ჩარევისშანსი გამორიცხულია. მისივე თქმით, მედიის თავისუფლების მდგომარეობა საქართველოში ყოველდღიურად უმჯობესდება:

„რა თქმა უნდა, ჩვენ ინფორმირებული ვართ ტელეკომპანია „რუსთავის-2“-თან დაკავშირებული სასამართლო პროცესის შესახებ. მსურს, დაგარწმუნოთ, რომ ეს პროცესი იქნება გამჭვირვალე. რა შედეგითაც უნდა დასრულდეს სასამართლო, ტელეკომპანიის სარედაქციო პოლიტიკაში მთავრობის ჩარევის ნებისმიერი შანსი გამორიცხულია. აქ იმყოფება საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენელიც. ის არის არანაკლებად კრიტიკული მთავრობის მიმართ. ასე რომ, ეს არის რეალური სურათი საქართველოში.

ეს ჩვენთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია. საქართველოში მედია იქნება თავისუფალი. მინდა, აღვნიშნო ამ სასამართლო პროცესის მნიშვნელობა და ვთქვა, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესი იქნება გამჭვირვალე“...

,,რუსთავი-2“: გადაწყვეტილების მიღების პროცესი იქნება გამჭვირვალე!..

რაც ხდებოდა გუშინ სავალუტო ბაზარზე, ეს გარკვეული მოლოდინებიდან შექმნილი აჟიოტაჟი იყო, — განაცხადა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ. მისივე თქმით, მოლოდინებს გარკვეული ფაქტორები განაპირობებს და რთულია განცალკევება.

„მოგეხსენებათ, რომ დოლარის კურსი ისტორიულად გაიზარდა, ამავე დროს მოხდა გაუფასურება ჩვენი მეზობელი ქვეყნების ვალუტისა. ყველაფერმა ერთად ითამაშა თავისი როლი. ბაზრებს, სამწუხაროდ, ახასიათებს ასეთი მოვლენა, რომელსაც ჰქვია „ოვერშუთინგი“, ანუ იმ დონეზე მაღლა ასვლა მოკლე პერიოდში, რასაც ფუნდამენტური ფაქტორები განაპირობებენ. როგორც წესი, ამას მოყვება ხოლმე ისევ ძველი დონისკენ ჩამოსვლა. გუშინ განვითარებულ მოვლენებზე ეროვნულმა ბანკმა გააკეთა განცხადება და, ალბათ, არ იყო ეჭვი იმაში, რომ ეს პროცესი უნდა შებრუნებულიყო“...

კობა გვენეტაძე: ეს გარკვეული მოლოდინებიდან შექმნილი აჟიოტაჟი იყო!

პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან უფროსკლასელები ფინანსდებიან

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა ფინანსური განათლების შესახებ ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტი დაიწყეს. საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის დაფინანსებით დაწყებული პროექტი თბილისისა და რეგიონების უფროსკლასელებში ფინანსური და სამეწარმეო განათლების გავრცელებას და ფინანსური განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლებას ისახავს მიზნად.

თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა გიორგი აბაშიშვილმა, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის რექტორმა მიხეილ ბატიაშვილმა გუშინ მოაწერეს ხელი.

ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტის **„მიიღე მეტი ცოდნა ფინანსების მართვის შესახებ“** მონაწილე 1000 მოსწავლე ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში მოისმენს ლექციას თემაზე „ფული, ფინანსები და მათი გავლენა ეკონომიკაზე“.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის გიორგი აბაშიშვილის განცხადებით, ეს პროექტი პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის დახმარებით დაიწყო, რაც იმის დასტურია, რომ პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და დიდ ყურადღებას უთმობს განათლების სფეროს განვითარების საკითხებს და ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, ფინანსური და სამეწარმეო განათლების გავრცელებას.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის კობა გვენეტაძის განცხადებით, ფინანსური განათლების ამაღლება ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მომხმარებლებისთვის, არამედ ფინანსური სექტორისა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკისთვის.

ბიუჯეტიდან 100 მილიონი ლარით ნაკლები...

სახელმწიფო ხაზინის ინფორმაციით, 2016 წლის ნოემბერში ხაზინის მომსახურებაზე მყოფ ყველა ბიუჯეტიდან (სახელმწიფო, ავტონომია, მუნიციპალიტეტი, სსიპ, ააიპ) დაახლოებით 100 მილიონი ლარით ნაკლები დაიხარჯა.

2016 წელს, წინა წელთან შედარებით, ყველა ბიუჯეტიდან კონსოლიდირებული ხარჯვის დაბალი მაჩვენებელი შენარჩუნდა (940 მლნ ლარი — 2016 წელს; 944 მლნ ლარი — 2015 წელს). საბიუჯეტო შეზღუდვის მნიშვნელოვანი წილი მოდის საჯარო მოხელეთა პრემიებზე. მათ შორის, 14 მილიონი ლარი დაიზოგა იმით, რომ არცერთ საჯარო უწყებაში ე.წ. გიორგობის პრემია არ გაცემულა.

მაინც როგორია მთავრობის კურსი?

უზრუნველყოფს თუ არა ლარის გამყარებას ის გეგმა, რომელიც ამ მიზნით წარადგინა საქართველოს მთავრობამ და მოსალოდნელია თუ არა დაგეგმილი რეფორმებით ეკონომიკის რეალური გაჯანსაღება? — დისკუსია სამთავრობო პრიორიტეტების ადეკვატურობის შესახებ აქტუალობას არ კარგავს, მით უფრო, ისეთ ფონზე, როდესაც მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებები ძირითადად მიუღებელია ოპონენტებისთვის. რა არგუმენტები აქვთ მათ და რითი უპირისპირდებიან ამ არგუმენტებს ხელისუფლების წარმომადგენლები?

საქართველოს მთავრობის პირველივე სხდომაზე, 29 ნოემბერს, პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის მიერ წარდგენილი გეგმის თანახმად, 2017 წლის 1 იანვრიდან თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გადასახადი გაიზრდება. აქციზის გადასახადის გაზრდა შეეხება ასევე იმპორტირებულ ავტომობილებსა და ნავთობპროდუქტებს. მთავრობამ ეროვნულ ბანკთან ერთად შეიმუშავა, ასევე, ეგრეთ წოდებული ლარიზაციის გეგმა, რომელშიც პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის თანახმად, ისეთი გრძელვადიანი და საშუალოვადიანი ნაბიჯებია გათვალისწინებული, როგორიცაა 2015 წლის 1 იანვრამდე ფიზიკურ პირებზე უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი, უცხოური ვალუტით გაცემული სესხების ლარში გადატანა, არსებულ კურსს მინუს 20 პუნქტის ოდენობით, რისთვისაც სახელმწიფო დამატებით 65 მილიონ ლარს გამოყოფს:

400 მილიონი დოლარის ყიდვა აღარ მოუწევთ ადამიანებს, ვინც არსებული სესხის გამო ყიდულობდა დოლარს. ამავე გეგმით, მცირე ზომის სესხები, ახალი სესხები — 2017 წლის პირველი იანვრიდან 100 000 ლარამდე, შემდეგ წელს 200 000 ლარამდე — გაიცემა მხოლოდ ეროვნული ვალუტით...

გიორგი კვირიკაშვილი: „ერთ კლიენტზე ერთ ბანკში 100 000 ლარამდე ნარჩენი თანხის სუბსიდიაა გადაწყვეტილების გამოცხადების მომენტში. მაგალითად, თუ კურსია 2,5, მოხდება ლარში კონვერტაცია კურსით 2,30. ამ სესხებზე გაუქმდება წინასწარ დაფარვის საკომისიოც, რაც საგრძნობლად შეამცირებს ზეწოლას ლარის კურსზე. 400 მილიონი დოლარის ყიდვა აღარ მოუწევთ ადამიანებს, ვინც არსებული სესხის გამო ყიდულობდა დოლარს. ამავე გეგმით, მცირე ზომის სესხები, ახალი სესხები — 2017 წლის პირველი იანვრიდან 100 000 ლარამდე, შემდეგ წელს 200 000 ლარამდე — გაიცემა მხოლოდ ეროვნული ვალუტით“.

ლარი! დოლარი! საკითხავი აი, ეს არის!

ნუთუ ლეგიტიმურია ქვეყნის „აყირავებასთან“ დაკავშირებული ჭორი?

15 ნოემბერს გამოქვეყნდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის განცხადება ლარის კურსის არასასურველ ცვლასთან დაკავშირებით.

ამ განცხადებას არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა საზოგადოების მხრიდან. მათ შორის ჩემიც. აი, რას ვამბობდი მაშინ:

„რა უნდა დაწერო (ან, გააკეთო) ისეთი, რომ მე, საქართველოს მთავრობის და კურსის პრინციპულმა მხარდამჭერმაც კი, თავი ვერ შევიკავო და არ შევიკურთხო.

აი, ამ განცხადებაში არის ასეთი ფრაგმენტი:

„ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ზემოთ ხსენებული ფაქტორების პარალელურად ჩვენს ქვეყანაში სამომხმარებლო ფასების ინდექსი არ იზრდება. მეტიც, გასულ თვეში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ფასების კლება დაფიქსირდა“.

ამის დამწერი, ვიზის მიმცემი და გამომქვეყნებელი, ეტყობა, „პახმელიაზეა“ (თუ მამრია), ან, მაღაზიებში არ დადის, ან, ბაზარში, ან მეგობარი არ ჰყავს, ან ამბის მიმტანი?

რა პერიოდზეა საუბარი? რა კალათაზე?...

მარტო ერთი მაგალითი: შაქარმა თითქმის 100 პროცენტი მოიმატა!!!! გავაგრძელო?

ის ვინც, ერთი მხრივ, ასეთი საჭირო, ჩანაფიქრში გამართლებული, პრინციპული ხასიათის და, მეორე მხრივ, პრიმიტიული და საზოგადოებრივი განწყობის და რეალობის არცოდნის დამადასტურებელ განცხადებებს ამზადებს, ან აბსოლუტურად არაკომპეტენტური, ან კარგად შენიღბული მტერი, ან, უბრალოდ, პროვოკატორია!“

გავიდა 15 დღე.

რა ხდება?

რა ხდება და ყველაზე ცუდი პროგნოზები გამართლდა.

დღეს, 15-16 საათისთვის, ვალუტის გადასაცვლელ ჯიხურებში დოლარი 2.80, ხოლო ევრო 2.90 ღირს...

ერთი წუთითაც არ მეპარება ეჭვი იმაში, რომ მთავრობა შეწუხებულია. მაგრამ...

რაღაც არ იგრძნობა ეს გარეგნულად, არც ტელეეკრანებზე, არც რადიოეთერში, არც საგაზეთო ფურცლებზე. თუნდაც, ვერსად წავიკითხე და მოვისმინე იმის შესახებ, რომ 24-საათიან რეჟიმში მუშაობს ე.წ. კრიზისების საბჭო თუ რაღაც მსგავსი შტაბი?

ამაზე დიდი და მწვავე კრიზისი რა უნდა იყოს?

პანიკამდე ცოტა დრო დარჩა...

მე იმას კი არ ვფიქრობ, რომ წივილ-კივილი უნდა ისმოდეს ყველა სივრცეში.

პირიქით, სიდინჯე და დამაჯერებლობა მოქმედების ყველაზე საუკეთესო გამოხატვაა ამ მხრივ. მაგრამ, ამ სიდინჯის პარალელურად ის მაინც უნდა ჩანდეს, თუ რა კეთდება, ვინ და რას აკეთებს, რას უნდა ველოდოთ...

არ ჩანს ეს.

ვერსად წავაწყდი დამადასტურებელ ინფორმაციას.

და თუ ორი კვირის წინანდელი განცხადებით ვიმსჯელებთ, ან მთავრობის სხდომის შემდეგ გაკეთებული განცხადებებით და ინტერნეტში გავრცელებული „ნაჯახური“ PR-მასალებით, რაღაც კარგი პირი არ უნდა უჩანდეს უახლოეს მომავალს. უახლოესს, თორემ... 24-ე საუკუნეში რომ საქართველო გაბრწყინდება, ამაში ქალბატონმა ლელამ დიდი ხანია, დამარწმუნა.

საინტერესო კია, ვინმე თუ უწევს კოორდინაციას საზოგადოებასთან ამ სტრუქტურების ურთიერთობას, მაღალჩინოსანთა იმ განცხადებებს,რომელთა მიზანი მოსახლეობის დროული და კვალიფიცირებული ინფორმირება უნდა იყოს და არა მისი... „გაგიჟება“.

ეს ალბათ ბოლოა. ეს ალბათ ბოლოა, ოღონდ ეს ალბათ ბოლოა ... ეს ალბათ ბოლოა, ოღონდ ... ეს ალბათ ბოლოა, ოღონდ ... ეს ალბათ ბოლოა, ოღონდ

სილარიბის უფლება არა გვაქვს!

ბუნებრივი რესურსები ქვეყნის სამსახურში

ჩვენმა ძვეძანამ და ქართველმა საზოგადოებამ, განსაკუთრებით სახელმწიფო სტრუქტურებმაც და ეროვნული მეურნეობის დარგებში მოღვაწე სპეციალისტებმა, მეტად მნიშვნელოვანი ფუნდამენტური ნაშრომი მიიღეს – გამოქვეყნდა ორტომეული „საქართველოს ბუნებრივი რესურსები“, რომელიც მომზადებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის მიერ (მთავარი რედაქტორი, აკადემიკოსი ირაკლი ჟორდანია, მთავარი რედაქტორის მოადგილე პროფ. ზურაბ ლომსაძე.)

1170 გვერდზე წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია საქართველოს ბუნებრივი და ადამიანური რესურსები. მოცემულია რესურსების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი და მათი ოპტიმალური გამოყენების პერსპექტივები. მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ეკოლოგიურ პრობლემებს.

აღნიშნული ნაშრომის გამოქვეყნებას წინ უსწრებდა ცალკეული ტომები, რომლებიც მიეძღვნა საქართველოს ყოველი რეგიონის ბუნებრივი და ადამიანური რესურსების შესწავლას.

2002 წლიდან 2012 წლამდე შემუშავდა და გამოიცა ცენტრში შესრულებული საქართველოს რეგიონების (აჭარა, აფხაზეთი, სამეგრელო, იმერეთი, გურია, სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი და თბილისი) ბუნებრივი და ადამიანური რესურსების კვლევის შედეგები.

რეგიონებისადმი მიძღვნილ მეცნიერულ ნაშრომებს დიდი ინტერესით შეხვდა საზოგადოება, განსაკუთრებით სამხარეო მართვის სტრუქტურები, რომლებმაც მიიღეს მეცნიერულად დახვეწილი სრული ინფორმაცია, თუ რა რესურსი გააჩნია ამა თუ იმ მხარეს და როგორ უნდა იყოს იგი რაციონალურად გამოყენებული.

აღნიშნული ნაშრომები, ისევე როგორც უკანასკნელი დამაგვირგვინებელი ორტომეული, გამოცემულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობის მიერ, რისთვისაც ავტორთა კოლექტივი დიდ მადლობას მოახსენებს აკადემიის ხელმძღვანელობას.

აკადემიის ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას აქცევდა ნაშრომის შინაარსობრივ მხარეს და მათი ყოველი შენიშვნა თუ სურვილი სრულად გაითვალისწინეს ავტორებმა.

ორტომეულის ავტორები მუშაობის თუ მოსმენის პროცესში განსაკუთრებულ მხარდაჭერას და დახმარებას გრძნობდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხრიდან, რომელიც წლების განმავლობაში ყურადღებას არ აკლებდა ბუნებრივი რესურსების შემსწავლელ ცენტრს და ცდილობდა, ყოველმხრივი მატერიალური თუ მორალური სტიმულირება არ დაეშურებინა ამ ერთობ მოთხოვნადი მონოგრაფიის მომზადების პროცესში.

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ნებისმიერი სახელმწიფოსათვის აუცილებელია საკუთარი ბუნებრივი რესურსების პოტენციალის განსაზღვრა-შეფასება, ვინაიდან, უახლესი რესურსდამზოგველი ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვის მიუხედავად, ბუნებრივი რესურსები და მათი რაციონალური გამოყენება კვლავ რჩება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად.

როგორც წესი, ქვეყანაში არსებული ბუნებრივი რესურსები განსაზღვრავენ მისი ინდუსტრიალიზაციის მიმართულებებსა და პროფილს, ზოგადად, წარმოადგენენ საფუძველს ეკონომიკის დარგობრივი განვითარებისა.

უახლოეს წლებში, ინტენსიური და უკონტროლო მოხმარების პირობებში, ბუნებრივი რესურსები შეიძლება რეალურად აღმოჩნდეს მწვავე დეფიციტისა და დეგრადაციის ზღვარზე. ამიტომ, ეს პრობლემა კვლავაც მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრშია, რაზეც მიუთითებს გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებები ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და ეკოსისტემების შენარჩუნების აუცილებლობის შესახებ.

გლობალიზაციის პირობებში, როდესაც მრავალი პრობლემის გადაწყვეტა მსოფლიოს



ქვეყნების ერთობლივ ძალისხმევას მოითხოვს, საჭიროა გეგმაზომიერი, გამჭვირვალე სახელმწიფო პოლიტიკის გატარება ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და დაცვის საკითხებში, რათა თავიდან ავიცილოთ მათი არარაციონალური, ზოგჯერ მტაცებლური ექსპლუატაცია და უზრუნველვყოთ მოსახლეობის სასიცოცხლო გარემოს შენარჩუნება-გაჯანსაღება.

საქართველოს გააჩნია მრავალგვარი და უნიკალური ბუნებრივი რესურსი, რასაკვირველია, უმთავრესად შეზღუდული ოდენობით და ამ პოტენციალის ეფექტიანად გამოყენებისთვის აუცილებელია შესაბამისი ცოდნის, კვალიფიკაციისა და ბიზნეს-გამოცდილების შეძენა, რაც უდავოდ უკავშირდება ადგილობრივ თუ უცხოურ მიზნობრივ ინვესტიციების მოზიდვას და რაც ჭეშმარიტად შეუწყობს ხელს საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე არსებულ მწვავე პრობლემების – უმუშევრობისა და სიღარიბის დაძლევას.

ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენების თავისებურებანი განაპირობებენ ამ პრობლემების პერმანენტული კვლევის აუცილებლობას, ვინაიდან ყველა სახის რესურსი და მათზე მოთხოვნილება მუდმივად დინამიკაშია, იცვლება დროსა და სივრცეში. აქედან გამომდინარე, ბუნებრივი რესურსების თანამედროვე მდგომარეობისა და მათი გამოყენების პერსპექტივების კვლევა მეტად აქტუალურია, რასაც საქართველოში წლების განმავლობაში ახორციელებს საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი.

ცენტრი არის ერთადერთი მრავალპროფილიანი სამეცნიერო დაწესებულება ქვეყანაში, რომელიც უახლესი და პერმანენტულად განახლებადი ინფორმაციის საფუძველზე იკვლევს ბუნებრივი და ადამიანური რესურსების თანამედროვე მდგომარეობას, აყალიბებს მათი ეფექტიანი და კომპლექსური გამოყენების კონცეპტუალურ მიდგომებს და შეიმუშავებს სათანადო წინადადებებსა და რეკომენდაციებს, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გათვალისწინებით.

და რაც მეტად მნიშვნელოვანია, პირველად არის ქართულ ენაზე მომზადებული მონოგრაფია – „საქართველოს ბუნებრივი რესურსები“, რომელშიც ბუნებათსარგებლობის ამოცანების, ქვეყნის განვითარების პრიორიტეტებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, შეკრებილი და გაანალიზებულია დიდი მოცულობის მასალა საქართველოს ბუნებრივი და ადამიანური რესურსების პოტენციალის შესახებ. ნაშრომში მეცნიერულად არის დასაბუთებული ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებისა და კვლავწარმოების, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის აუცილებლობა ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენებით შესწავლილია საქართველოს ბუნებრივი რესურსები: მიწის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების, ტყის, სასარგებლო წიაღისეულის (შავი, ფერადი, კეთილშობილი და იშვიათი მეტალების შემცველი მადნები; არამეტალური ნედლეული – სამთოქიმიური და სამთამადნო; სამშენებლო მასალები; ნავთობი, ნახშირი და ტორფი; მინერალური წყლები), სათბობ-ენერგეტიკული (ტრადიციული – ჰიდრო და ნახშირის; არატრადიციული – მზის, ქარის და გეოთერმული წყლების), სამკურნალო საკურორტო-რეკრეაციული, ტურისტული. ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ადამიანური რესურსების კვლევასა და ეკოლოგიურ პრობლემებს.

კვლევის შედეგად შემუშავებულია მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებები და რეკომენდაციები, რომელთა იმპლემენტაცია ხელს შეუწყობს ქვეყნის ბუნებრივი და ადამიანური რესურსების ეფექტიანად გამოყენებას.

უშუალოდ ცენტრში შესრულებულ კვლევებთან ერთად წიგნში გამოყენებულია ქვეყნის სხვადასხვა უწყებებისა და ორგანიზაციების (30-ზე მეტი ორგანიზაცია) სამეცნიერო შრომები და სტატისტიკურ-საინფორმაციო მასალები. მათ შორისაა სხვადასხვა სამინისტრო და უწყებები, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა და საინჟინრო აკადემიები; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო, საქართველოს ტექნიკური, საქრთველოს აგრარული უნივერსიტეტები და მათ შემადგენლობაში მყოფი ინსტიტუტები.

ორტომეულის ექსპერტული შეფასების მიზნით რედაქციამ მიმართა გამოჩენილ ქართველ მეცნიერებს. ვაქვეყნებთ მათ მოსაზრებებს:

აკადემიკოსი ოთარ ნათიშვილი: „აღსანიშნავია, რომ ამგვარი კაპიტალური ნაშრომი პირველად გამოდის ქართულ ენაზე და იწვევს საკმაოდ დიდ ინტერესს მთავრობის, რეგიონების ხელმძღვანელების, ბიზნესწრეების, მკვლევართა თუ სპეციალისტთა მხრივ, რადგან აქ თავმოყრილია საქართველოში არსებული ყველა რესურსის ამომწურავი დახასიათება და შესაბამისი რეკომენდაციები მათი რაციონალურად გამოყენების შესახებ. ნაშრომს აქვს ფართო სპექტრის მეცნიერული და საცნობარო-სახელმძღვანელო ხასიათი, რის საფუძველზე მიგვაჩნია, რომ ის მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს საწარმოო ძალების განვითარებას და თავის წვლილს შეიტანს ქვეყნის მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და ევროკავშირთან ურთოერთთანამშრომლობის გაღრმავებაში.“

აკადემიკოსი ერეკლე გამყრელიძე: „მონოგრაფიაში საკმაოდ კვალიფიციურად არის მოწოდებული წიაღისეულის ცალკეული სახეობის მეცნიერული შეფასება და მაღალ პროფესიულ დონეზეა წარმოდგენილი დღეს არსებული მდგომარეობა, შესწავლილია ყოველი რესურსის მნიშვნელობა ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრობლემებთან დაკავშირებით. მიღებული კვლევების შედეგები საკმაოდ შთამბეჭდავია და გამოიწვევს სერიოზულ ინტერესს, როგორც სამთავრობო სტრუქტურების მხრივ, ასევე ბიზნეს საზოგადოებისა თუ სპეციალისტთა ფართო წრეებისას.“

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ალექსანდრე დიდებულიძე: „ნაშრომი წარმოადგენს მისი ავტორების ხანგრძლივი სამეცნიერო და პრაქტიკული მუშაობის და დისციპლინათაშორისი, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე მიმართულ სამეცნიერო კვლევების შედეგს, მას გააჩნია როგორც თეორიული, ასევე უდიდესი გამოყენებითი მნიშვნელობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია საავტორო კოლექტივის დიდი პასუხისმგებლობით და მონდომებით ჩატარებული შერჩევა, რამაც განსაზღვრა კვლევის უნიკალურობა. კვლევის შედეგებმა გაიარა მრავალმხრივი აპრობაცია ამავე კოლექტივის მიერ მანამდე შედგენილი ქვეყნის რეგიონების რესურსებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიების ფართო და აქტიური განხილვის დროს. ჩემი აზრით, ამავე საავტორო კოლექტივმა უნდა გააგრძელოს სამეცნიერო კვლევები, რათა ამ მონოგრაფიის შედეგებზე დაყრდნობით დამუშავდეს ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი და ტექნოგენური რესურსების რაციონალური გამოყენების მოდელი შექმნილი ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ქვეყნის მდგრადი განვითარება.

საქართველოს ენერგეტიკისა და საინჟინ-

... და რაც მეტად მნიშვნელოვანია, პირველად არის ქართულ ენაზე მომზადებული მონოგრაფია – „საქართველოს ბუნებრივი რესურსები“, რომელშიც ბუნებათსარგებლობის ამოცანების, ქვეყნის განვითარების პრიორიტეტებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, შეკრებილი და გაანალიზებულია დიდი მოცულობის მასალა საქართველოს ბუნებრივი და ადამიანური რესურსების პოტენციალის შესახებ. ნაშრომში მეცნიერულად არის დასაბუთებული ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებისა და კვლავწარმოების, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის აუცილებლობა ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენებით, შესწავლილია საქართველოს ბუნებრივი რესურსები: მიწის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების, ტყის, სასარგებლო წიაღისეულის (შავი, ფერადი, კეთილშობილი და იშვიათი მეტალების შემცველი მადნები; არამეტალური ნედლეული — სამთოქიმიური და სამთამადნო; სამშენებლო მასალები; ნავთობი, ნახშირი და ტორფი; მინერალური წყლები), სათბობ-ენერგეტიკული (ტრადიციული — ჰიდრო და ნახშირის; არატრადიციული — მზის, ქარის და გეოთერმული წყლების), სამკურნალო საკურორტო-რეკრეაციული, ტურისტული. ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ადამიანური რესურსების კვლევასა და ეკოლოგიურ პრობლემებს.

რო აკადემიების წევრი, ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი გიორგი არაბიძე: „..მონოგრაფიის თავი „ენერგეტიკული რესურსები“ იმსახურებს მაღალ შეფასებას. ... აღნიშნულ თავში მოცემული მასალა, დასკვნები და რეკომენდაციები გამოადგებათ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს და მაგისტრანტებს, აგრეთვე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ენერგეტიკის სამინისტროებს, რეგიონების მუნიციპალიტეტების სათანადო ორგანოებს და ამ დარგში მომუშავე სხვა სპეციალისტებს.“

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გივი ბედიანაშვილი: „მონოგრაფიის თავი „ბუნებრივი სამკურნალო საკურორტო-რეკრეაციული რესურსები“ შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე... ნაშრომი წარმოადგენს გზამკვლევის, ორიენტირის ხასიათის დოკუმენტს, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში მოცემულ დარგში ბიზნესით დაინტერესებული უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორების მოზიდვას.“

ეჭვგარეშეა, რომ მონოგრაფია „საქართველოს ბუნებრივი რესურსები“ სასარგებლო და დროულია, იგი სრულად შეესამება დღევანდელი დღის რეალურ მოთხოვნებს და მოწოდებულია შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი, როგორც მეცნიერულმა საყრდენმა დოკუმენტმა, მთავრობის მიერ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის და პრიორიტეტების განსაზღვრისას, ბუნებრივი და ადამიანური რესურსებით ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ნაშრომი ასევე დააინტერესებს და სარგებლობას მოუტანს მეცნიერებსა და ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებს, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს.

სპეციალისტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ადამიანური რესურსების განვითარებისა და ანალიზის მასალებს, დემოგრაფიულ პრობლემებს, რომლებიც საკმაოდ ღრმად არის შესწავლილი და, ალბათ, სათანადო ყურადღებას დაიმსახურებენ ოფიციალური სტრუქტურების მხრიდან.

ორტომეულის ავტორთა შორის არიან სახელოვანი მეცნიერები, შეიძლება ითქვას, დარგების წამყვანი სპეციალისტები, რომელთა თავდაუზოგავი შრომის შედეგად სახელმწიფომ მიიღო სრული სურათი ქვეყანაში არსებული ბუნებრივი რესურსებისა. სწორედ ძირითადად მათი გამოყენებით უნდა ჩამოყალიბდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, რომელიც ესოდენ საჭიროა დღევანდელი საქართველოსთვის.

ამავე დროს ავტორები თვლიან, რომ ეს ნაშრომი იმდენად, რამდენადაც წარმოადგენს პირველ მცდელობას საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა სრულად აღწერის, არ არის დაზღვეული ნაკლოვანებისა და უზუსტობისაგან, ამდენად ისინი სიამოვნებით მიიღებენ ყოველ კრიტიკულ წინადადებას და შეეცდებიან შემდგომ გამოცემებში გაითვალისწინონ და აღმოფხვრან მსგავსი ნაკლოვანებები, რითაც ისინი უფრო სრულფასოვნად აქცევენ წარმოდგენილ მონოგრაფიას.

გურამ გოგიაშვილი

თიბისი ბანკისა და ახალგაზრდა არტისტების ერთობლივი პროექტი

თიბისი ბანკმა საზოგადოებას თანამედროვე ხელოვანებთან ერთად შექმნილი ახალი პროექტი „12“ წარუდგინა. პროექტის ფარგლებში შეიქმნა თიბისი ბანკის ვიზა ფეისტიკერის 12 ახალი დიზაინი, რომელზეც ახალგაზრდა არტისტების სხვადასხვა ჟანრში შესრულებული ნამუშევრებია აღბეჭდილი. ეს ნამუშევრები, ავტორების სხვა ნამუშევრებთან, ერთად ფაბრიკაში გამოიფინა.

პროექტში პირველ ეტაპზე 12 არტისტი მონაწილეობს. მათ შორის არიან, როგორც ცნობილი, ისე დამწყები ხელოვანები, რათა მათაც მიეცეთ შესაძლებლობა, საკუთარი შემოქმედება ფართო აუდიტორიას გააცნონ. რამდენიმე არტისტმა სპეციალურად „12“-ისთვის ახალი ნამუშევარი შექმნა.

ბესო უზნაძე, თეზი გაბუნია, გიორგი მაღრაძე, ლადო ლომიტაშვილი, მიშიკო სულაკაური ანასტასია ახვლედიანი, ანკა ბოჭორიშვილი, ლუკა ცეცხლაძე, ნუცა ესებუა, ნანუკა ჩიჩუა, გიორგი ჩხეიძე, გიორგი გაგოშიძე — ეს ის არტისტები არიან, რომელთა შესრულებული ნამუშევრებიდან თიბისი ბანკის მომხმარებელი მისთვის სასურველს აირჩევს.

კოლექციაში თავმოყრილი ნამუშევრები თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებას და მედიების ვარიაციას აერთიანებს — სახვით ხელოვნებას, ინსტალაციას, შუქის ხელოვნებას, ფოტოგრაფიას, გრაფიტის, სტრიტარტს, გრაფიკას.

აჭარის რომელი ტურისტული ობიექტი მოიპოვებს საპატიო პრიზს?

აჭარაში, საუკეთესო სერვისის მქონე ტურისტული ობიექტების ვინაობა წლის ბოლომდე გახდება ცნობილი. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი რეგიონში სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიის წამყვან მოთამაშეებს დეკემბრის ბოლოს „მაგნოლია 2016“-ზე დააჯილდოვებს. დაჯილდოების ცერემონიალზე გამოვლინდება თუ რომელ განთავსებისა და კვების ობიექტს, ტურისტულ ატრაქცია/მუზეუმს, გიდს, ტურისტულ სააგენტოსა და ტურისტული მარშრუტს გააჩნია ტურისტების, მომხმარებლებისა და ტურიზმის სექტორის ყველაზე მაღალი ნდობა და შეფასება. დეპარტამენტი წელს აჭარაში, ყველაზე მაღალი სერვისის მქონე ტურისტული ობიექტების გამოსავლენად ტურისტებისა და სექტორის შეფასებებს გამოიყენებს.

მომხმარებელთა შეფასებების მისაღებად დეპარტამენტმა სექტემბრიდან დაიწყო მომხმარებელთა კვლევა, რომელიც ონლაინ კვლევას, ასევე Trip Adviser-pt, Booking.Com-სა და Facebook.com-ზე ტურისტების შეფასებების კვლევას ითვალისწინებს. ტურისტების გამოკითხვა მიმდინარეობს როგორც ონლაინ რეჟიმში, ასევე რეგიონში არსებულ ტურისტულ-საინფორმაციო ცენტრებსა და ტურისტულ ადგილებში. ამ ეტაპზე კვლევაში 1000-მდე ტურისტი და უბრალო მომხმარებელია ჩართული.

„მნიშვნელოვანია, როცა ცალკეული ტურისტული ობიექტის სერვისს ტურისტი აფასებს. სწორედ ტურისტისა და უბრალოდ მომხმარებლის აზრია გასათვალისწინებელი, როცა ტურისტული ბიზნესის განვითარება და სერვისის გაუმჯობესება გვსურს. ამ შემთხვევაში, ჩვენი მთავარი მიზანია ტურისტმა და უბრალო მომხმარებელმა გამოავლინოს აჭარაში საუკეთესო სერვისის მქონე ობიექტები. რა თქმა უნდა, ამას ემატება ტურიზმის სექტორის გამოკითხვაც, მაგრამ მნიშვნელოვანი წილი მაინც ტურისტებზე მოდის,“ — აცხადებს აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის სერვისის განვითარების განყოფილების უფროსი თამარ კაიკაციშვილი.

ევროკავშირის ბაზარი ჩვენებურ თაფლს ელოდება

ევროკავშირმა დაასრულა ყველა ფორმალური პროცედურა და საქართველო შეიყვანა მესამე ქვეყნების ჩამონათვალში, საიდანაც ევროკავშირის ტერიტორიაზე თაფლის იმპორტი დაშვებულია.

როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი აცხადებს, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, მეფუტკრეობის დარგის განვითარებისა და ქართული თაფლის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის სტიმულირების მიზნით მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა.

„ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად, მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ევროპის კანონმდებლობასთან დაახლოებას გულისხმობს. კერძოდ, დამტკიცდა ვეტერინარული პრეპარატების, სხვა დამაბინძურებლებისა და ნარჩენი ნივთიერებების მონიტორინგის გეგმა. 2015 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა „თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“, რომელიც თაფლთან დაკავშირებით მოთხოვნებს ადგენს“, — აცხადებს ლევან დავითაშვილი.

ბიზნესოპერატორი ვალდებულია, ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული სტანდარტებით თაფლი აწარმოოს და ბაზარზეც დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად განათავსოს. შესაბამისად, თაფლის მწარმოებლებს საშუალება აქვთ შესაბამისი სტანდარტების დაცვის შემთხვევაში საკუთარი პროდუქცია ევროპის ბაზარზე განათავსონ.

ისრაელური არქიტექტურული აზრი ქართულ სივრცეში

ისრაელის წამყვანმა არქიტექტურულმა კომპანიამ MYS Architects-მა საქართველოში წარმომადგენლობა გახსნა. იგი ქართულ ბაზარზე იმუშავებს, როგორც საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატის წევრი კომპანია.

MYS Architects სახელს უკავშირდება ისრაელში არაერთი შთამბეჭდავი პროექტი, რომლებიც ხარისხისა და ნოვატორობის სინონიმები გახდა. კომპანიაში აღნიშნავენ, რომ MYS Architects-მა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა თანამედროვე თელ-ავივის არქიტექტური სახის შექმნაში. კომპანიას შექმნილი აქვს პროექტები ისეთი სფეროებისთვის, როგორიცაა სავაჭრო, საცხოვრებელი, ჯანდაცვის, სასტუმრო და საზოგადოებრივი სექტორები. ეს პროექტები განხორციელდა არა მარტო ისრაელში, არამედ მსოფლიოს 32 ქვეყანაში. კომპანიის კრეატიულ ჯგუფს შეადგენს ხუთი დამოუკიდებელი სტუდია.

MYS Architects-ს უკვე აქვს საქართველოში მუშაობის გამოცდილება. მისი პროექტის მიხედვით აშენდა თბილისში სავაჭრო და გასართობი ცენტრი „ისთ პოინტი“.

როგორც კომპანიის წარმომადგენელი რონი ლაიში აცხადებს, MYS Architects ქართულ ბაზარზე ერთ-ერთ სერიოზული მოთამაშედ ყალიბდება, იწყებს მსხვილი არქიტექტურული პროექტების განხორციელებას და საკუთარი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

არაბებმა ისევ ქართულ ცხვარს დაადგეს თვალი

სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადამმუშავებელი და შემფუთველი ტექნოლოგიების მე- 16 საერთაშორისო გამოფენის ფარგლებში, საქართველოს კატარისა და ქუვეითის სახელმწიფოს სამთავრობო და ბიზნესსექტორის წარმომადგენლები სტუმრობენ.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნულ სააგენტოში გამართულ შეხვედრაზე დელეგაციის წევრებმა საქართველოდან ქართული ცხვრისა და სხვა არაცხოველური წარმოშობის სურსათის ექსპორტის გაზრდის საკითხებზე იმსჯელს.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარებმა დელეგაციის წევრებს ქვემო ქართლის რეგიონში მეცხოველეობის სექტორში არსებული ვითარება ადგილზე გააცნეს და მარნეულის მუნიციპალიტეტში სასაკლაო, ცხოველების საკარანტინო ზონა და გადასარეკ ტრასაზე არსებული ვეტერინარული ბიოუსაფრთხოების პუნქტი დაათვალიერებინეს.

გალფის ქვეყნების (სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს წევრი ქვეყნები) სამთავრობო და ბიზნესსექტორის წარმომადგენლები. დელეგაციის შემადგენლობაში კატარის მუნიციპალიტეტისა და გარემოს დაცვის სამინისტროს მეცხოველეობის დეპარტამენტის და ცხოველთა მოშენების განყოფილების ხელმძღვანელი აბდულა საად ბუშაე, ყატარის სახელმწიფო კომპანიის „HASAD FOOD“ წარმომადგენელთა ჯგუფი, ასევე, მისი შვილობილი კომპანიის „MAHASEEL“ ხელმძღვანელები და ქუვეითის სახელმწიფოს ერთ-ერთი მსხვილი მეცხოველეობის ფერმის წარმომადგენელი ზაიდ მუჰამედ მანსურ რანაჯოკი არიან.

ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №260

ქართულ სამუზეუმო სივრცეში სრულიად უნიკალური განძთსაცავი გაიხსნა. ეს გახლავთ პირველი პრეცედენტი, როცა ერთ კონკრეტულ ლოკალში მოქცეულია ძველი და უახლესი, უმნიშვნელოვანესი საეკლესიო სიწმინდეები. აქვე, ზომიერების კურთხეული გრძნობით, არსის ცოდნით, დიდი მხატვრული გემოვნებით ექსპონირებულია სახვითი ხელოვნების, არქეოლოგიის ნიმუშები, ხელნაწერები, იკონოგრაფიული მასალა...

სამთავროს მუზეუმში შესვლისას გიდებად მონაზვნები გვხვდებიან. მათ მონათხრობში, ექსპონატების ისტორიის ცოდნასთან ერთად, სხვა იდუმალება და სულიერება გამოსჭვივის.

ქვემოთ, ჩვენი გაზეთის მკითხველს ვთავაზობთ წმინდა ნინოს სახელობის სამთავროს დედათა მონასტრის ერთ-ერთი მონაზვნის წერილს, რომელიც საქართველოს მუზეუმების მოკლე მიმოხილვასთან ერთად, მცხეთაში, სამთავროში, ახლად გახნილ მუზეუმზე გვიამბობს.

მარადისობის სივრცე

სამთავროს მონასტერში მუზეუმი დაარსდა



საქართველოში **მრავალი მუზეუმი არსებობს, რომელთა შექმნისათვის ცნობილი ქართველი მეცნიერები, მწერლები, მხატვრები, არქიტექტორები, მუსიკოსები და საზოგადო მოღვაწეები იღვწოდნენ.**

საქართველოს მუზეუმის უმდიდრეს ფონდში ისტორიის, ხელოვნებისა და მატერიალური კულტურის ამსახველი ძვირფასი ექსპონატებია დაცული. შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში (დაარსდა XIX ს.) თავმოყრილია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საეკლესიო, საისტორიო-ეთნოგრაფიული მუზეუმების, ეროვნული გალერეის და სხვა მუზეუმების კოლექციები. ხელოვნების მუზეუმის ოქროს ფონდში დაცულია ქართული ხელოვნების უნიკალური ნიმუშები: შუა საუკუნეების ხატები, მათ შორის: სასწაულთმოქმედი ანჩისხატი და წმინდა თამარ მეფის ეპოქის შედევრი ხახულის კარედი; ტიხრული მინანქრის ნიმუშები, უნიკალური ფარდაგები და ნაქარგობები, ფერწერული ტილოები, ფოტომასალები, მემორიალური ნივთები, საარქივო მასალები და სხვა.

ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის მუზეუმში უამრავი არქეოლოგიური მასალაა დაცული: ქანდაკებები, ანტიკური ხანის ნაკეთობანი, წმიდა მეფეების დავით აღმაშენებლის, თამარის, რუსუდანის, დემეტრე I-ის, ლაშა-გიორგის, დავით ნარინისა და სხვების სახელით მოჭედილი მონეტები... ოქრომჭედლობის ნაკეთობები (ხატები, ჯვრები, გარდამოხსნები, საბუხრეები, სარტყლები, ოდიკები, დაფარნები), ისტორიული დოკუმენტები და სხვა ექსპონატები.

ცნობილია ასევე ივანე ჯავახიშვილის, წმიდა ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმ-სამლოცველო, სადაც დაცულია წმიდა ექვთიმეს (მეჭურჭლეთუხუცესი) ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტები, ფოტოები, ნივთები, საარქივო მასალები.

თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე წარმოდგენილია ძეგლ-მუზეუმი, სადაც თავმოყრილია მართლმადიდებელ წმიდანთა ბრინჯაოს ქანდაკებები. აქვე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ხარების ეკლესიაც აიგო.

აღსანიშნავია საქართველოს ძველი და ახალად დაარსებული მუზეუმები: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, დადიანების, ლადო ასათიანის, თელავის, გრემ-ნეკრესის; იაკობ ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი (1924 წ.), აგებული არქიტექტორ ანატოლი კალგინის მიერ (ანატოლი კალგინი მეუღლესთან ერთად დაკრძალულია სამთავროს მონასტრის სასაფლაოზე), კახეთის მეფეთა პალატა, სადაც წარმოდგენილია მეფეთა ისტორიული დოკუმენტები – ბეჭდიანი სიგელები; მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალი და მრავალი სხვა.

* * *

დიდი ისტორიული წარსულის მქონე სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერიც მრავალ სიძველეს ინახავს. მონასტერი VI ს-დან XIX ს-მდე საეპისკოპოსო რეზიდენციას წარმოადგენდა, სადაც, მრავალ სიწმინდესთან ერთად ძვირფასი საღვთისმსახურო და სასულიერო წიგნებით აღჭურვილი უმდიდრესი ბიბლიოთეკა არსებობდა. ქვეყნის ძნელბედობის ჟამს, როდესაც დაინგრა და განადგურდა მრავალი ეკლესია-მონასტერი და მათთან არსებული საგანმანათლებლო კერები, გაუქმდა სამთავროს საეპისკოპოსო კათედრაც. ეს ვითარება მძიმედ აისახა სამთავროს მონასტრის ისტორიაში, ვინაიდან სავანემ სწორედ ამ დროს დაკარგა თავისი ძვირფასი ნივთიერი ქონების უმეტესი ნაწილი. 1820 წლიდან, მას შემდეგ, რაც გაუდაბურებული სავანის ადგილას დედათა მონასტერი დაარსდა, მისი ხელახალი აღორძინება დაიწყო. ამ საქმეს სათავეში სავანის სახელოვანი იღუმენიები ჩაუდგნენ, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია უფროსი და უმცროსი **ნინო ამილახვრის** ღვაწლი. მათი ძალისხმევით სამთავროს მონასტერმა თავისი ძველი დიდებულება კვლავ დაიბრუნა. თითოეული წინამძღვრის მიერ დანატოვარი ტრადიცია, ნივთიერი წყარო თუ სიწმინდე დღემდეა შემორჩენილი მონასტერში, რაშიც უდიდესი დამსახურება სავანის **ამჟამინდელ წინამძღვარს იღუმენია ქეთევანს (კოპალიანი - წინამძღვარი 1991 წლიდან)** მიუძღვის. მას წინამძღვრობის პირველივე წლებიდან ყურადღების მიღმა არ დარჩენია წინაპართა დანატოვარი სიძველენი, ყველა ნივთს თავი ერთად მოუყარა და წლების განმავლობაში საგანგებოდ კრძალვით ინახავდა. დედა იღუმენიას სურვილი ჰქონდა **ძველ დედათაგან შემორჩენილი საუნჯე** არა მხოლოდ მონასტერში მცხოვრებთათვის ყოფილიყო ხელმისაწვდომი, არამედ განიზრახა ისინი ფართო საზოგადოებისათვის გაეცნო, როგორც საქართველოს ეკლესიის ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ მიზნით, 2015 წელს მონასტრის ტერიტორიაზე საეკლესიო მაღაზიის გვერდით საფუძველი ჩაეყარა ისტორიული მნიშვნელობის მქონე მუზეუმის მშენებლობას. ღვთის განგებით, 2016 წლის 2 ნოემბერს, ღირსი მამა გაბრიელის ხსენების დღეს, მუზეუმი საზეიმოდ გაიხსნა. ამავე წლის 15 ნოემბერს კი მონასტრის მუზეუმს საპატიო სტუმარი – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ეწვია, რომელმაც დიდი შეფასება მისცა მუზეუმის დაარსებას, როგორც ქვეყნისათვის სასარგებლო საქმეს. მისმა უწმინდესობამ თავისი დამოკიდებულება მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნშიც დაამოწმა ხელმოწერით.

მუზეუმის კეთილმოწყობაში იღუმენია ქეთევანის ლოცვა-კურთხევით ჩართულები იყვნენ გამოცდილი სპეციალისტები: საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარე ბატონი **მალხაზ ამაშუკელი**, რომელიც 25 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომელი გახლდათ და საქართველოს ეროვნული მუზეუმის ექსპერტი, ბატონი **ნოდარ ახალკაცი**. მათ გვერდით მუზეუმის გამართვაში მონაწილეობას იღებდა ინჟინერ-რესტავრატორი – **გია გვიმრაძეც**. პროფესიონალებისაგან დაკომპლექტებული კოლექტივის თავდაუზოგავი შრომის შედეგად, მუზეუმმა გახსნისთანავე აქტიური ფუნქციონირება დაიწყო.

მუზეუმი კონცენტრირებულია შემდეგ კატეგორიებზე. ესენია სახვითი ხელოვნება, ისტორია, არქეოლოგია, მეცნიერება და ეთნოგრაფია. ჩამოთვლილ კატეგორიათა ნიმუშები 17-საუკუნოვან ისტორიულ პერიოდს მოიცავენ - მე-3 საუკუნიდან მე-19 საუკუნის ჩათვლით.

სავანის კუთვნილი ნივთების გარდა, მუზეუმის ექსპონატები კოლექციაში სხვადასხვა საშუალებით აღმოჩნდნენ. მაგალითად, ზოგიერთი მათგანი მონასტერმა საჩუქრად მიიღო კერძო პირის არქივიდან. ასეთია: ლევან გოთუას სახარება და მისი გადასახლების დროინდელი მაღაროს ქუდი, რომელიც მისმა ძმისშვილმა მაია გოთუამ სავანეს გადასცა. აქვეა მაია გოცირიძის მიერ შემოწირული ვარდის ხის ძველებური კარადაც. ზოგიერთი ისტორიული ღირებულების ექსპონატი მონასტერმა საგანგებოდ შეიძინა. მაგ: ხევსური ქალის ორსაუკუნოვანი სრული შესამოსელი (სადიაცო, მანდილი, სათაურა, პაჭიჭები, ტყავძირგამოკრული წინდა-თათები, წინდები და გარეთა სამოსი-ქოქლო). **განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-ემ, სავანეს დაუბრუნა საპატრიარქოში დაცული სამთავროს XI საუკუნის კანკელის უნიკალური ფრაგმენტები.** მონასტერს ასევე გარკვეული შეთანხმების საფუძველზე გადმოგვეცა სავანის ტერიტორიაზე არქეოლოგთა მიერ სხვადასხვა დროს აღმოჩენილი ექსპონატები, რომლებიც წლების განმავლობაში მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმის კუთვნილებას წარმოადგენდა. ესენია მინის მძივი (III ს.), თიხის ჭურჭელი (V ს.), პილასტრის კაპიტელის ფრაგმენტი (V ს.), მოჭიქული კერამიკის ნაწილები (XII-XIII სს.) და ანტეფიქსი ჯვრის გამოსახულებით (XII-XIII სს.).

მუზეუმში მონასტრის ყველაზე დიდი სიწმიდე, სვეტიცხოვლის წმინდა ნაწილია დაბრძანებული. აღსანიშნავია, რომ სვეტიცხოველს ცენტრალური ადგილი უკავია წმინდა ნინოს ცხოვრებაში. მოციქულთასწორმა მეფე მირიანმა სვეტიცხოვლის ტაძარი წმინდა ნინოს მინიშნებით, უფლის კვართის ალაგას ააგო. „სუეტი ცხოველი“ ის მთავარი სვეტია, რომელიც ტაძრის მშენებლებმა ვერ აღმართეს. იგი ღვთის განგებით, წმინდა ნინოს ლოცვით აღიმართა კვართის ალაგას. „უფლის კვართი“ სიმბოლოა ეკლესიის ერთიანობისა, უფლის კვართი გამოსახეს ბაგრატიონთა გერბზე, ვითარცა სიმბოლო ქვეყნის ერთიანობისა, დაუნაწევრებლობისა, ერთიანი ეკლესიის არსებობისა, ერთიანი ენის ფლობისა“ (ნესტან სულავა).

ნიკოლოზ გულაბერიძის საგალობელთა მიხედვით, „ღმერთმა ისრაელთა მსგავსად, ქართველი ხალხი შეარჩია ,,ერად საზეპუროდ“, რაც გამოიხატა საქართველოში, კერძოდ, სვეტიცხოვლის აღმართვის ადგილას უფლის კვართის დაფლვით, ხოლო შემდგომ ქვეყნის უპირველესი „ცათა მობაძავი ტაძრის აგებით“.

კვართის საქართველოში, მცხეთაში დაფლვამ, მცხეთა მეორე იერუსალიმად, სულიერ ქალაქად გარდასახა. როგორც წმინდა მოსემ გამოიყვანა ეგვიპტელთა მონობიდან ებრაელები, ისე წმინდა ნინომ და სვეტმა ცხოველმა იხსნა ქართველები კერპთაყვანისმცემლობის სიბნელისაგან და ქვეყანას ქრისტიანობის ნათელი მოჰფინა.

წერილობითი წყაროების თანახმად, სვეტიცხოვლის წმინდა ნაწილი წმინდა მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას საფლავის ზემოთ მდებარე საიდუმლოდ დაფარულ ნიშში ინახებოდა. „და აღესრულა მირიან მეფე, და დაეფლა ზემოსა ეკლესიასა, საშუალსა სვეტსა სამხრითსა, ჩრდილოთ-კერძო, და მას სუ-

ღირსი მამა გაბრიელის კუთხე მუზეუმში.

იღუმენია ნინო ამილახვრის მემორიალური ნივთები.

ეტსა შინა არს ნაწილი ღვთივაღმართულისა მის სვეტისა. და მეორესა წელსა მოკუდა ნანა დედოფალი, და დაეფლა მასვე სუეტსა დასავლით, სადა მირიან მეფე დამარხულ იყო (ლეონტი მროველი, „ქართლის ცხოვრება“). ასე იყო მანამ, ვიდრე 1990-იანი წლების ბოლოს ღირს მამა გაბრიელს საღმრთო გამოცხადებით არ ეუწყა სვეტიცხოვლის ნაწილის შესახებ. ამასთან, ანგელოზმა ის ადგილიც ზუსტად მიანიშნა, სადაც წმიდა ნაწილი იყო დაბრძანებული. ხილვის შემდგომ მამა გაბრიელმა, მონასტრის წინამძღვართან და დედებთან ერთად, სვეტიცხოვლის ნაწილი ნიშიდან კრძალვით გადმოასვენა და საკურთხეველში, ტრაპეზზე დააბრძანა. ამჟამად, სვეტიცხოვლის წმინდა ნაწილი დაცულია ძვირფასი ქვებით მოოჭვილ ვერცხლის ლუსკუმაში, რომელსაც უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II შემოწირული თეთრი მარგალიტის მინანქრისჯვრიანი სკვნილი ამკობს.

მუზეუმში ორი კუთხე საგანგებოდაა შექმნილი: ღირსი მამა გაბრიელისა და იღუმენია ნინო ამილახვრისა (უმცროსი), სადაც მათი პირადი ნივთებია დაბრძანებული. წმინდა ბერის კუთხეში ინახება მისი ხელით დაწერილი ანდერძი, შესამოსელი, ჯვარი, დიადემა, ჩაიდანი, ნავთქურა, საათი, სკამი, ქუდი და ნარი, რომელზეც მამა გაბრიელი ესვენა. იღუმენია ნინო ამილახვრის კუთხეს კი ამშვენებს საიღუმენიო ჯვარი და წმინდა მთავრინა ელიზავეტას მიერ გამოგზავნილი სამკერდე ნიშნები. აქვეა მნიშვნელოვანი დოკუმენტი მონასტრის დაარსების ოფიციალური ცნობის შესახებ. სავანის მომდევნო იღუმენიათა პირადი ნივთებიდან მუზეუმის კოლექციაში ინახება იღუმენია **ნინო ციციშვილის** სკამი და იღუმენია **ანა აჭაიძის** მიერ მოთელილი დეკორატიული თექა, სკვნილი და საყოფაცხოვრებო ნივთები.

ბეჭდური გამომცემლობიდან აღსანიშნავია XVIII-XIX სს-ის საღვთისმსახურო წიგნები – ბიბლია, ახალი აღთქმა და ჟამნი.

სამუზეუმო კოლექციაში ორი მნიშვნელოვანი ხელნაწერი ინახება: პირველი წარმოადგენს საღვთისმსახურო ტიპიკონურ ლოცვათა ჩანაცვლების წესს შესაბამისი რაოდენობის „იესოს ლოცვით“, რომელიც შესრულებულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ხელით. ხოლო მეორე ხელნაწერი წმინდა ექვთიმე აღმსარებელის მიერ (კერესელიძე – მონასტრის მოძღვარი 1919-1945 წლებში) გადაწერილი სანოტო კრებულია, სადაც 13 საგალობლის ცალხმიანი ნიმუშებია დაფიქსირებული. კრებული პირველად სამი წლის წინ იქნა ჩართული სამეცნიერო მიმოქცევაში მონოზონი ნინოს (სამხარაძე) მიერ და მის კვლევას რამდენიმე სტატიაც მიუძღვნა. იგი უაღრესად მნიშვნელოვან მუსიკალურ მასალას შეიცავს აღმოსავლურ-ქართული სამგალობლო სკოლის ძველი ტრადიციის შესახებ და ამ მხრივ მუსიკოლოგთა დიდ ინტერესს იმსახურებს.

მუზეუმში გამოფენილია ექსპონატები, რომლებიც მონასტერში მოღვაწე დედათა შემოქმედებასა და მათი გარემოს აღმწერ ფაქტებზე არსებულ მნიშვნელოვან მასალას შეიცავს. აქვეა მონოზვნების მიერ შალის ძაფისაგან ნაქსოვი ხალიჩა (ქილიმი), ნაქარგობათა ნიმუშები და XIX საუკუნის ფოტომასალა.

სახვითი ხელოვნების კატეგორიაში თავს იყრის XVIII-XIX საუკუნეებით დათარიღებული ხატწერის ნიმუშები. მათ შორის აღსანიშნავია ხბოს ტყავზე შესრულებული ხატი წმიდა გიორგისა, რომელიც კათოლიკოს-პატრირქმა ილია II ეთიოპიიდან ჩამოაბრძანა და მონასტერს შესწირა; წმიდა ევსტათი პლაკიდას ოჯახის ნაქარგი ხატი, შესრულებული სოფიო ბაგრატიონ-თარხნიშვილის (ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II მემკვიდრის, გიორგი XII ქალიშვილი) მიერ ვერცხლმკედის, ოქრომკედის, ზეზისა და აბრეშუმის ძაფებით; ტიხვინის ღვთისმშობლის ვერცხლმკედის პერანგი (1757 წ.); იღუმენია ნინო ამილახვრის სენაკის ხატი, ლევკასზე გრავირებული ორნამენტითა და ვერცხლის მოჩარჩოებით და სხვა...

მუზეუმს შესასვლელში წმინდა იოანე კრონშტანტელის მიერ შემოწირული დიდი ზარი ამშვენებს.

ეს მცირედი ჩამონათვალი მხოლოდ გარკვეული ნაწილია სამთავროს მუზეუმის სრული კოლექციისა. დანარჩენი ნიმუშების გაცნობას კი მონასტერში მომსვლელებსა და სიძველეთა მოყვარულებს ინტერესის წყაროდ ვუტოვებთ.

მონაზონი ნინო (სამხარაძე)

არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე)

„კომბლე და ნაცარქექია ჩვენი ოჯახის წევრები არიან...“

სამთავროს წმინდა ნინოს დედათა მონასტრის სულიერი მოძღვრის, არქიმანდრიტ ლაზარეს (გაგნიძე) ქადაგებიდან

უფალი ჩვენთანაა ყოველთვის, გაჭირვებაშიც, დალხინებაშიც, მაგრამ ჩვენ არ ვართ მზად იმისთვის, რომ მისი ჩვენთან ყოფნა გავაცნობიეროთ. ვერ ვაცნობიერებთ იმასაც, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი ყველგანაა და ყოველთვის ჩვენთან არის. არ ვართ მზად, არ ვართ სულიერად ამაღლებულნი, რომ მის გვერდით ვიდგეთ. ამიტომ თითოეულმა ჩვენგანმა სულიერი ძალები უნდა მოვიკრიბოთ ლოცვით, მარხვით, ზნეობრივი ყოფით, შრომით... აი, ამგვარად მიიღწევა ის საიდუმლო, რომ უფალი ჩვენს გვერდით განვიცადოთ. თქვენ უნდა ასრულებდეთ მის ცნებებს, უპირველესად, შრომით.

თუკი იტყვით, რომ შრომის საშუალება და ასპარეზი არ გაქვთ, ეს იქნება ტყუილი...აი, მაგალითად, ვინ გიკრძალავთ, რომ მტვერი გადაწმინდოთ. თქვენს ოჯახებში ყოველთვის შეიძლება რაღაც აღმოაჩინოთ, რასაც მზრუნველი ხელი სჭირდება... შრომა მრავალნაირია: სულიერიც, ფიზიკურიც... შრომით უნდა მივიდეთ უფალთან.სამწუხაროდ, ამას დღეს აღარავინ გვიქადაგებს, აღარავინ მოგვიწოდებს...

ბევრი რამ მოიშალა წინაპართაგან ნაანდერძევი. იმ დროს, როცა ბებიაჩემი ცოცხალი იყო, ისე არ დაგვაძინებდა, რომ ზღაპარი არ ეთქვა... და აი, ასე, ზღაპრებში, ზღაპრულ სამყაროში შევყავდით, ზღაპრული სამყაროს გავლით მივდიოდით ძილში, სულით და ხორცით დასვენებულნი... დღეს ბევრია ასეთი ბებიები? ყველას სადღაც ეჩქარება...დედები, ბებიები აღარ უკითხავენ ბავშვებს ზღაპრებს, დაირღვა ცოცხალი კონტაქტი თაობებს შორის...

ამიტომ იქნებ დროულიც იყო ჩვენი რეაქცია, როცა განათლების მინისტრმა დაიწყო საუბარი და წამოწია თემა ზღაპრის გმირ კომბლეზე. იქნებ პარადოქსია, მაგრამ მადლობა მას ამისთვის, რადგან ჩვენ მოგვცა განსჯის სურვილი და საშუალება. ახლაღა გავაცნობიერეთ, თუ რა ყოფილა ჩვენთვის კომბლე და მისი კომბალი. მინისტრმა გამაღიზიანებელი იმპულსით შემოიტანა ჩვენში ბავშვობაში საყვარელი ზღაპრის პერსონაჟი. დაგვაფიქრა, თუ რა ცუდად ყოფილა დღეს ქართველი ბავშვის საქმე, თურმე ვიღაც-ვიღაცები კომბლეს გაგდებას აპირებენ ჩვენი ცნობიერებიდან და უნდათ, რომ მაინცდამაინც, მხოლოდ ჰარი პოტერი და სპაინდერმენი შემოიყვანონ. მალე კონჩიტასაც დაგვისვამენ სახლში და ოჯახის წევრად გაგვიხდიან. ამიტომ მე მადლობას ვუხდი მას, განათლების მინისტრს, რომ აგვაღელვა და გამოგვაფხიზლა. ფილოსოფიაში არსებობს უარყოფის პრინციპი. რაღაცის უარყოფის ფონზე ჭეშმარიტებას აგნებებენ. აი,სწორედ ასე, მისდა უნებურად, დაგვაფიქრა მინისტრმა ოჯახებზე და იმ ზღაპრებზე, ოჯახებში რომ გვიკითხავდნენ. ჩვენ გვჭირდება ყველა ის ზღაპარი, რაზედაც ქართველი ბავშვების თაობები იზრდებოდნენ: კომბლეც, ნაცარქექიაც, ასფურცელაც, რწყილი და ჭიანჭველაც...

იგივე უარყოფის პრინციპით, ნაცარქექია გვასწავლის იმას, რომ არ უნდა ვიყოთ ნაცარქექიები... უამრავი გმირი შემოდის ჩვენს ზღაპრებსა და ლეგენდებში, დადებითიც, უარყოფითიც...ისინი, როგორებიც არ უნდა იყვნენ, ჩვენი ოჯახის წევრები არიან. ამ გმირების – პერსონაჟების გარეშე როგორ შეიძლება ქართული სულიერების ჩამოყალიბება? აი, თუნდაც ლეგენდარული და ლიტერატურული გმირი ყვარყვარე. როგორ შეიძლება, ჩვენ ყვარყვარიზმი, როგორც ასეთი, არ გავაცნობიეროთ?

ჩვენ ამ დღეებში ავღელდით, იმიტომ რომ არ გვინდა ზღაპრების გმირებთან სამუდამო გამოთხოვება და ისევ მადლობა განათლების მინისტრს, რომელიც უკვე ოფიციალურად დატოვეს პოსტზე, ჩვენი ასეთი გამოფხიზლებისთვის...

მე მინდა, კიდევ ერთხელ, ყველას მოგიწოდოთ: მეტი ყურადღება მიაქციეთ თქვენს ოჯახებს. გაიგეთ რა ლიტერატურაზე იზრდებიან, რა მოსწონთ ან რატომ მოსწონთ თქვენს შვილებს, როგორია მათი სულიერი პრობლემები. მე ძალიან განვიცდი, როცა ბავშვები მოუმზადებელი მოგყავთ ზიარებაზე. პატარები ზოგჯერ ბარძიმთან მოდიან ტირილით. ამ სიწმინდისთვის უნდა მოამზადოთ! იმისთვის რომ ისინი მოამზადოთ, თქვენ უნდა იყოთ სულიერად გაღვიძებულნი.

დღეს ჩვენს ოჯახებში ბევრი რამ არის დაუწყობელი და დაულაგებელი. მიზეზთა მიზეზი კი ამისა არის ის, რომ იერარქია დაირღვა და ეს გამოიწვიეს ე.წ. ლიბერალიზმის, ვითომდა ამერიკულ-ევროპული დემოკრატიის მქადაგებლებმა. მათ დაასამარეს მამების და ბაბუების თაობა. ეს მათი დამსახურებაა, რომ თაობებს აქვთ დარღვეული და მოუწესრიგებელი ურთიერთობები. იერარქია უნდა არსებობდეს. როგორ შეიძლება ბებია და ბაბუა გვყავდეს და მათგან კურთხევას არ ვღებულობდეთ... როგორეარ უნდა იყვნენ ისინი – დაუძლურებულები, მეხსიერებაშელახულები... ყველა შემთხვევაში, ოჯახში მოხუცებისგან უნდა ვღებულობდეთ კურთხევას.

მონაზონი დედა ნინო სამთავროს მუზეუმში.

ბევრი რამ აკლია ჩვენს ოჯახებს. სანამ უკვე ძალიან გვიან არ არის, უნდა აღვადგინოთ ის, რაც დავკარგეთ – საუკეთესო ტრადიციები. ჩვენ, ბევრნი, სოფლებში გავიზარდეთ. იქნებ იქ არ იყო სათანადო განათლება, მაგრამ იყო სიბრძნე გლეხური. მახსოვს, როგორ გადაგვწერდნენ-ხოლმე მოხუცები პირჯვარს. დღეს ისე გაუშვებს ბავშვს მშობელი ქუჩაში, რომ ლოცვასაც არ წარმოსთქვამს. ლოცვას რომ უდიდესი ძალა აქვს, ეს ყველას კარგად მოეხსენება.

ჩვენს ოჯახებს დღეს სჭირდება ძალიან დიდი სულიერი დახმარება. თავიდან უნდა დავიწყოთ დალაგება ოჯახებისა. ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენი მონასტერი ჩაუდგეს სათავეში დიდ მოძრაობას - ქართული ოჯახების გადარჩენის და აღორძინების იდეით. როცა ვამბობ – მონასტერი, უპირველესად, აქ ჩვენს მრევლს ვგულისხმობ. ჩავდგეთ ოჯახის სიწმინდის მაღალი იდეის სამსახურში და სხვებიც შემოვიკრიბოთ. ავიტაცოთ ეს აზრი.

დავიწყოთ დილიდანვე, პირის დაბანით და ლოცვით და განვაგრძოთ იმით, რაც ეკუთვნის ოჯახს, რომ გააკეთოს მთელი დღის მანძილზე. ვისწავლოთ და ვასწავლოთ სხვებსაც. ეს ხომ მშვენიერია – ჩვენი წინაპრების ურთიერთობის კულტურა, სულიერი მზერა, კეთილშობილური ჩვევები, ტრადიციული ოჯახი, ბედნიერი ოჯახი... მოგიწოდებთ, გავიხსენოთ წარსული მომავლისათვის. გილოცავთ გიორგობას. წმინდა გიორგის მადლი და ძალა შეგეწიოთ ჩვენი ოჯახების გადასარჩენად.

23 ნოემბერი.
2016 წელი.
მცხეთა.
სამთავროს მონასტერი

ჩანაწერები ქართული ზღაპრების თემაზე

ლევან ბრეგაძე (მწერალი):

განათლების მინისტრი ბრძანებს: „ჩვენ გვჭირდება ახალი კომბლე, ახალი ნაცარქექია, ახალი რწყილი, ახალი ჭიანჭველა, რომლებიც კი არ ართმევენ ვინმეს რამეს, არამედ პატიოსანი შრომით აკეთებენ“ (სტილი დაცულია).

ორ პარალელურ ტექსტზე დაფუძნებულ ერთ მცირე ოპუსს შემოგთავაზებთ და თვითონ განსაჯეთ „ახალი რწყილი, ახალი ჭიანჭველა“ გვჭირდება თუ ახალი მინისტრი.

ზღაპარი და სინამდვილე

რამდენი იწვალა რწყილმა ჭიანჭველას გადასარჩენად! ორიოდე ღერი ჯაგარი იყო საჭირო წყალში ჩავარდნილი მეგობრის ნაპირზე გამოსაყვანად, ღორმა კი, ვისაც რწყილმა ჯაგრისთვის მიაკითხა, სამაგიეროდ რკო მოითხოვა. რკოსთვის რწყილი მუხას ეახლა. მერე ყვავთან მოუწია მისვლა, შემდეგ კრუხთან, ორმოსთან, თაგვთან, კატასთან, ძროხასთან და ბოლოს ძლივს იგდო ხელთ სასურველი ჯაგარი.

ახლა მოვუსმინოთ აფრიკის ერთ მკვლევარს, რომელიც მოგვითხრობს, რა სირთულეებს წააწყდა იგი ადგილობრივ მოსახლეობასთან საქმიანი ურთიერთობისას (ის იკვლევდა ტომს, რომელმაც ჯერ კიდევ არ იცოდა, რა იყო ფული):

„ტანგანიკის ტბაზე სამოგზაუროდ დამჭირდა ნავი. გადავწყვიტე, მექირავებინა იგი სიდი იბნ-ჰაბიბისაგან, მაგრამ ნავით სარგებლობის საფასურად მან სპილოს ძვალი მომთხოვა, რომელიც მე არ მქონდა; გავიგე, რომ სპილოს ძვალი ჰქონია მოჰამედ იბნ-სალიმს. ოღონდ ეს ჩემთვის დიდი ვერაფერი ნუგეში იყო – მოჰამედი მის სანაცვლოდ გამბაზიის ქსოვილს ითხოვდა, რომელიც მე აგრეთვე არ გამაჩნდა. შევიტყვე, რომ გამბაზიის ქსოვილი ჰქონია მოჰამედ იბნ-ღარიბს და სურდა ის მავთულზე გადაეცვალა. ბედად, მავთული მქონდა. მივეცი მავთული მოჰამედ იბნ-ღარიბს, მან გადასცა გამბაზიის ქსოვილი მოჰამედ იბნ-სალიმს, ამან, თავის მხრივ, მისცა სპილოს ძვალი სიდი იბნ-ჰაბიბს, რომელმაც, ბოლოს და ბოლოს, ნება დამრთო მისი ნავით მესარგებლა“ (**რობერტ იოჟეფი. ფულის ისტორია. ბუდაპეშტი, 1968, გვ. 23. რუსულ ენაზე**).

* * *

ასე ვაჭრობდა მთელი კაცობრიობა ფულის შემოღებამდე. ამას ეკონომისტები „მუნჯ გაცვლას“ უწოდებენ.

აფრიკის, ამერიკისა და ავსტრალიის აბორიგენი მოსახლეობის ცხოვრების წესმა შემოგვინახა კაცობრიობის ბავშვობა.

კაცობრიობის ბავშვობა შემოგვინახა აგრეთვე „რწყილმა და ჭიანჭველამ“. უთუოდ ესეც არის ამ ზღაპრის მომხიბვლელობის ერთ-ერთი საიდუმლო.

ჩანაწერი სოციალური ქსელიდან:

„მინისტრის აზრით, ახალი კომბლე გვჭირდება. ალბათ იმიტომ, რომ უფრო დიდი კომბლეები თალოს ან სულაც, ბიოიარაღზე იმუშაოს!..“

„ერთი რევოლუციაც გვჭირდება. ამ შემთხვევაში, კულტურული რევოლუცია, რომ ყველას და ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას“.

ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე

ცხელი ხაჭაპურით კინაღამ დამხრჩვალი კაცი



При поддержке Главы и Правительства Республики Саха (Якутия)
Министерство культуры и духовного развития
Республики Саха (Якутия)
Государственная филармония Республики Саха (Якутия)
им. Г.М. Кривошапко
СЕВЕРНОЕ СИЯНИЕ 2016
В рамках VI Международного арктического музыкального фестиваля «Северное сияние»
100 - летию со дня рождения Галины Кривошапко
«В лучах северной звезды...»
Симфонический оркестр «Symphonica AKTica»
Дирижер – Фабио МАСТРАНЖЕЛО
Солистка - лауреат Международных конкурсов Ульяна ГОЛИКОВА (скрипка)
«Rastrelli Cello Quartet»
Художественный руководитель - Кирилл КРАВЦОВ
Большой зал консерватории им. П. И. Чайковского
Понедельник, 17 октября 2016 года

ამ საყოველთაო უფულობისა და უვიზობის დროს, საქარიელი ძმაკაცები, სამოცს კარგა ხნის გადაცილებული ჭიჭიკო ჯანგავაძე და შალიკო ფარულავა, რაღაც მანქანებით მოსკოვში აღმოჩნდნენ. იქ ჩასული ქართველები არასდროს იკლავდნენ თავს დიდი თეატრის სპექტაკლებსა და ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიის დიდ დარბაზში კონცერტებზე სიარულით და, მით უმეტეს, დღეს არ იხედებიან იქით. მაშინ, როცა, სხვა დაბრკოლებებთან ერთად, ბილეთიც არ ღირს იაფი, საშუალოდ, 50-100 ამერიკულ დოლარს შეადგენს. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ერთ დღეს ჭიჭიკომ აიჩემა, რომ ხვალ წავიდეთ კონსერვატორიაში, სიმფონიური მუსიკის კონცერტზეო. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ორკესტრს თავად დიდი იტალიელი დირიჟორი ფაბიო მასტრანჯელო უდირიჟორებსო. მოსკოვის მუსიკალურ საზოგადოებასაც გადავხედავთ და სახელგანთქმულ ორკესტრსაც მოვუსმენთო.

... და ეს საუბარი მიდის მაშინ, როცა ძმაკაცები საქარიას ოპერის თეატრშიც კი არ არიან წესიერად ნამყოფი (!)...

წინა დღით, ცენტრალურ თეატრალურ სალაროში, კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზის ბილეთები იყიდეს და მეორე დღეს საღამოს, კითხვა-კითხვით ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიისკენ გასწიეს. ვიღაც ოჯახ...აშენებულმა არასწორად, არეულად მიასწავლა და თავდაპირველად კუდრინსკის მოედანზე, ჩაიკოვსკის სახელობის მუსიკალურ ცენტრს მიადგნენ. იქიდან გამობრუნებულები „ბოლშაია ნიკიტსკაიას“ ქუჩას გაჰყვნენ „ЦДЛ“-თან არმისულებმა ვიღაც გამვლელს ისევ ჰკითხეს. მათ კითხვაზე რუსი ეროვნების მოქალაქე ისე ღრმად ჩაფიქრდა, გეგონებოდათ ახალი ამერიკის აღმოსაჩენი გზა-კვალი ჰკითხესო. მისი სწავლების შემდეგ, იტარ-ტას-ის ცნობილი შენობა მარცხნივ დატოვეს და ქვაფენილიან ტროტუარს დაბლა დაუყვნენ. ხელმარცხნივ, ერთ-ერთი შენობის ფასადზე დაინახეს წარწერა: „Хачапурия кафе пекарния“. კონცერტის დაწყებამდე საათ-ნახევარი დრო ჰქონდათ და გადაწყვიტეს ხაჭაპურით დანაყრებულიყვნენ. მით უფრო როცა კონსერვატორიის შენობას ორიოდე ნაბიჯიღა აშორებდათ...

სახაჭაპურეში შესანიშნავი გარემო დახვდათ: ძველი, ანტიკვარული ავეჯითა და ნივთებით გაწყობილი დარბაზი, მიმქრალი შუქი, მოკიაფე სანთლები, მსუბუქი მუსიკა და კიდევ... კიდევ... გუდიაშვილისა და პიკასოს ფერწერული ტილოებიდან გადმოსული, სულშთაბერილი მთელი წყება რუსი ლამაზმანებისა.

შეუკვეთეს ორი იმერული ხაჭაპური.

— დიდი თუ პატარა? — ეკითხებათ მიმტანი.

— ორი ცალი დიდი „იმერეტინსკი“, თავისი მოწყობილობით, გაზიან-სიროფიანი „ლაღიძის წყლით“, — პასუხობენ ერთხმად.

ბევრისთვისაა ცნობილი, რომ კარგი იმერული ხაჭაპურის დამახასიათებელი ატრიბუტია ის, რომ ხაჭაპურში ჩართული ცხელი ყველისაგან, მოტეხვისას წარმოქმნილი ძაფი, რაც კი შეიძლება დიდზე იწელებოდეს და გასაჭრელად დანას იშველიებდნენ...

ჭიჭიკოს და შალიკოს ხაჭაპური მოეწონათ. მზარეულს თუ მცხობელს ოსტატობა შეუქეს და ჭიჭიკომაც ხაჭაპურს დიდი ნაჭერი მოატეხა (მოტეხილ ნაჭერს საკმაოდ გრძელი ყველის ძაფი გამოჰყვა, და პირში გადაუძახა. დიდ ღეჭვასაც არ შედგომია, უცბადვე ჩაყლაპვა გადაწყვიტა, მაგრამ საყლაპავ მილში რომ არ გადადის?! ეტყობა, ნატეხს გამოყოლილი ცხელი ყველის ძაფი ჭიჭიკოს კბილების მოსახსნელი პროთეზის რომელიღაც კავმა ჩაიხვია და მეყოლე, ჭიჭიკო, ვარდივით. დღისითი (მზისითო, ვერ ვიტყვით, რადგან მოსკოვში იმ დღეს მზე არ ანათებდა) — იხრჩობა კაცი! პროთეზის კავზე გამობმული ყველის ძაფი საყლაპავ მილში ლუკმას (თანაც უსაშველოდ დიდს) არ უშვებს. აფართხალდა სახაჭაპურეში, სუფრასთან, კაცი! ატყდა ერთი ამბავი! ისევ შალიკომ იმარჯვა: ძმაკაცს პირი გაუღო, მის ხახაში ყველის ძაფი დალანდა, მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი ამ ძაფს გამოჰკრა. გაწყვიტა. მარცხენა ხელის მუშტი ჭიჭიკოს ბეჭებში მოუბაზუნა და... ჭიჭიკომაც, მთლად შვებითო ვერ ვიტყვით, მაგრამ ამოისუნთქა კი!... ამოისუნთქა და სახაჭაპურეს სასწრაფო დახმარების მანქანამაც მოაკივლა...

სამედიცინო დახმარება ჭიჭიკოს აღარ დასჭირვებია. ისე, სასწრაფოს ექიმებმა უფრო ზრდილობის გულისთვის, ალბათ, წნევა გაუზომეს, მის გულისცემასაც ფონენდოსკოპით მოუსმინეს და საგანგაშო რომ ვერაფერი შენიშნეს... მომხდარის გამო, ისე რომ სიცილს ველარ იკავებდნენ (არც უცდიათ), სასწრაფოს მანქანას მიაშურეს...

გადატანილის გამო კონსერვატორია ვიღას ახსოვდა. არც ჭიჭიკოსთვის გაევლო მთლიანად შიშსა და სახეზე სილურჯეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, საქარიელმა ძმაკაცებმა გუდიაშვილის თუ პიკასოს ფრესკებიდან გადმოსული ორი ანგელოზი თან იახლეს და ჭიჭიკოს გადარჩენა რომ აღენიშნათ, იქვე ახლოს მდებარე რესტორანში გადაინაცვლეს.

იმ საღამოს მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიის დიდ დარბაზში, სიმფონიური მუსიკის კონცერტზე, ფაბიო მასტრანჯელო რომ დირიჟორობდა, მსმენელებით გადაჭედილ პარტერში, მეათე რიგში, ორი, მეთორმეტე და მეცამეტე სკამი ცარიელი იყო...



ძმაკაცებს რაღა ესიმფონიურ-ორკესტრებოდათ!...

ბეჟან ნამიჭეიშვილი.
მოსკოვი, 14.10.2016

რედაქციისგან: ამ სტრიქონების ავტორი, მწერალი და პუბლიცისტი, დროებით მოსკოვში მოღვაწე ქუთაისელი კალმოსანი ბეჟან ნამიჭეიშვილი ისე დამაჯერებლად ხატავს იმერელ ტიპაჟებს, ვითარცა გამორჩეულ ქართველებს, რომ მათი სიბრძნით და იუმორის ნიჭით გული გაგინათდება მკითხველს.

მისი სადა, სხარტი და ცხოვრებისეული სიკეთით გამორჩეული ნააზრევი მრავალი კრებულის სახით მიიღო მკითხველმა.

ახლახან ბეჟან ნამიჭეიშვილს 65 წელიწადი შეუსრულდა. გულწრფელად ვულოცავთ ჩვენი გაზეთის აქტიურ ავტორს სიბრძნის ხანაში შებიჯებას.

კიდევ ერთი ამდენი, ქუთაისელო კოლორიტო!

აშშ თავდაცვის მინისტრი „ცოფიანი ძაღლი“ გახდება

ამერიკის არჩეულმა პრეზიდენტმა თავდაცვის მინისტრის პოსტი გადამდგარ გენერალს, ჯეიმს მატისს შესთავაზა. ამის შესახებ დონალდ ტრამპმა ოჰაიოში გამართულ მიტინგზე განაცხადა. „ის ყველას სჯობს,“ — ასე შეაფასა ტრამპმა 66 წლის გენერალი, რომელიც საზღვაო ქვეითთა კორპუსს მეთაურობდა და „ცოფიანი ძაღლის“ მეტსახელით იყო ცნობილი.

სააკაშვილმა ოდესაში ფულის ქეთების ახალი ხერხი მოიგონა, რუსი დეპუტატები კი ხუმრობის ხასიათზე დადგნენ

ოდესის ყოფილი გუბერნატორი ახალი პარტიის დასაფინანსებლად წყაროებს ეძებს. ამის შესახებ ის სოციალურ ქსელ ფეისბუქში წერს. მიხეილ სააკაშვილი თანამოქალაქეებს შემოწირულობების გაღებისკენ მოუწოდებს და აცხადებს, რომ პარტიის ანგარიშზე ფულის გადასარიცხად სპეციალური საიტი შეიქმნა.

„ჩვენ გვჯერა, რომ ეს შესაძლებელია. ჩვენ ნულიდან ვიწყებთ და გვსურს უკრაინა ზესახელმწიფოდ ვაქციოთ. ვისაც ჩვენი სჯერა და ჩვენთან ერთად სურს ბრძოლა, შემოგვიერთდით და მხარი დაგვიჭირეთ,“ — წერს საакაშვილი.

ოდესის ყოფილი გუბერნატორის განცხადებამ იმის შესახებ, რომ ახალი პარტიის დასაფინანსებლად ფულის შეგროვებას იწყებს, რუსი დეპუტატები ხუმრობის გუნებაზე დააყენა. განსაკუთრებით ისინი სააკაშვილის განცხადების იმ ნაწილმა გაახალისა, სადაც ექ-

სგუბერნატორი აცხადებს, რომ უკრაინას ახალი პოლიტიკური ძალა ზესახელმწიფოდ აქცევს. ერთ-ერთი პირველი, ვინც სააკაშვილის ფეისბუქ-მოწოდებას გამოეხმაურა, დუმის დსთ საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელი ლეონიდ კალაშნიკოვი იყო.

„თუ მისი ცხოვრების გზას გადახედავთ, მიხვდებით, რომ მისი ერთადერთი მიზანი ფულის გროვებაა. როგორც ჩანს, მას ფულები შემოაკლდა. ამერიკელები აღარ ეხმარებიან, ცოლთანაც ვეღარ აქვს საქმე კარგად. ამიტომ, კაპიკ-კაპიკ დაიწყო ფულის შეგროვება. შეიძლება, ვინმემ მისცეს კიდეც უკრაინული ფული, თუმცა მას ფული არა უკრაინის ზესახელმწიფოდ ქცევისთვის, არამედ ნიუ-იორკში ფუფუნებაში ცხოვრებისთვის სჭირდება,“ — აღნიშნა კალაშნიკოვმა

ნავთობი ძვირდება

ნავთობი ისევ გაძვირდა. გუშინ დილით ლონდონის ბირჟაზე ბრენტის მარკის საწვავის ღირებულებამ 54,3 დოლარი შეადგინა, რაც გასული კვირის მაჩვენებელს 5 დოლარით აღემატება.

ბირჟის ანალიტიკოსები ნავთობის გაძვირებას ოპეკის გადაწყვეტილებას უკავშირებენ. ორი დღის წინ ორგანიზაციის წევრი ქვეყნები ნავთობმოპოვების შემცირებაზე შეთანხმდნენ.

თურქეთი ლოდინით დაიღალა

თურქეთი ევროპაში სტუმარი არ არის. თურქეთი ევროპის დიასახლისია. ამის შესახებ ქვეყნის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა განაცხადა.

მისივე თქმით, ანკარა ევროკავშირში გაწევრიანების მოლოდინით დაიღალა და იმ შემთხვევაში, თუ ევროპელი ლიდერები ორმაგი სტანდარტებით თამაშს შეწყვეტენ, თურქეთი მზად არის ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი გახდეს. თურქეთმა ევროკავშირში გაწევრიანებაზე განაცხადი 1987 წელს შეიტანა, მოლაპარაკებები კი გაწევრიანებასთან დაკავშირებით ბრიუსელსა და ანკარას შორის 2005 წელს დაიწყო.

განცხადება

2017 წლის 25 იანვარს, 11 საათზე, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: დ. მესტია, სეტის მოედანი №1) გაიმართება მესტიის მუნიციპალიტეტში მდ. იფარზე 3 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

საქმიანობა ითვალისწინებს მდ. იფარზე მცირე სიმძლავრის დერივაციული ტიპის არა რეგულირებადი (წყალსაცავის გარეშე) ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას და ექსპლუატაციას.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში – დ. მესტია, სეტის მოედანი №1;**
- **შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.**

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

- **დავით კობერიძე. ტელ: 591401000;** E-mail: dkoberidze81@gmail.com
- **გიორგი ბჟალავა. ტელ: 595287560.** E-mail: goga@gamma.ge;

გზშ-ს ანგარიშთან დაკავშირებული შენიშვნებისა და კომენტარების წარმოდგენა შესაძლებელია განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში.

შპს „აკვაჰიდრო“-ს ადმინისტრაცია.

განცხადება

2017 წლის 25 იანვარს, 11:30 საათზე, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: დ. მესტია, სეტის მოედანი №1) გაიმართება მესტიის მუნიციპალიტეტში მდ. ხელრაზე 3,3 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

საქმიანობა ითვალისწინებს მდ. ხელრაზე მცირე სიმძლავრის დერივაციული ტიპის არა რეგულირებადი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას და ექსპლუატაციას.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში - დ. მესტია, სეტის მოედანი №1;**
- **შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.**

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

- **დავით კობერიძე. ტელ: 591401000;** E-mail: dkoberidze81@gmail.com
- **გიორგი ბჟალავა. ტელ: 595287560.** E-mail: goga@gamma.ge;

გზშ-ს ანგარიშთან დაკავშირებული შენიშვნებისა და კომენტარების წარმოდგენა შესაძლებელია განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში.

შპს „აკვაჰიდრო“-ს ადმინისტრაცია.

განცხადება

2017 წლის 25 იანვარს, 12 საათზე, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: დ. მესტია, სეტის მოედანი №1) გაიმართება მესტიის მუნიციპალიტეტში მდ. ნაკრაზე 7,4 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

საქმიანობა ითვალისწინებს მდ. ნაკრაზე მცირე სიმძლავრის დერივაციული ტიპის არა რეგულირებადი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას და ექსპლუატაციას.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში – დ. მესტია, სეტის მოედანი №1;**
- **შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.**

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

- **დავით კობერიძე. ტელ: 591401000;** E-mail: dkoberidze81@gmail.com
- **გიორგი ბჟალავა. ტელ: 595287560.** E-mail: goga@gamma.ge;

გზშ-ს ანგარიშთან დაკავშირებული შენიშვნებისა და კომენტარების წარმოდგენა შესაძლებელია განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში.

შპს „აკვაჰიდრო“-ს ადმინისტრაცია.

მეუღლის მკვლელს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და სარდიონ ღვინიაშვილი დამნაშავედ ცნო მეუღლის ნ.ს.-ს განზრახ მკვლელობაში.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2016 წლის 13 აპრილს, დაახლოებით 15:45 საათზე, ქ.თბილისში, ელდარის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, სარდიონ ღვინიაშვილმა ეჭვიანობის ნიადაგზე, შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით, მეუღლეს ნ. ს.-ს დანით ყელს არეში მიაყენა ჭრილობა. მიღებული ჭრილობის შედეგად ნ.ს. შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა სარდიონ ღვინიაშვილი შემთხვევის ადგილზე დააკავეს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სარდიონ ღვინიაშვილი დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ამოიღეს დიდი რაოდენობით „მეტადონი“

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1963 წელს დაბადებული, ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე ზ.ყ. თბილისში დაიკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი და დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას 115 აბი და 7 აბის ნატეხი „მეტადონი“ ამოიღეს.

ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად, ზ.ყ.-ს მეტადონის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

მანგანუმის რეალიზატორი კომპანიის თაღლითი მფლობელები

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისათვის განზრახ თავის არიდების ფაქტზე, ჭიათურის რაიონში მანგანუმის შემცველი პროდუქციის უკანონოდ შეძენა-გადამუშავება-რეალიზაციის განმახორციელებელი კომპანიების მფლობელები დააკავა.

გიორგი ნინიკაშვილი და მასთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი მალხაზ კახნიაშვილი და გოჩა საყვარელიძე, მათ მფლობელობაში არსებული კომპანიების შპს „მანგანუმ სერვისის“, შპს „მარსის“ და შპს „მარსი 2014“-ის სახელით, ჭიათურის რაიონში ახორციელებდნენ მანგანუმის შემცველი პროდუქციის შეძენა-გადამუშავება-რეალიზაციას. ბრალდებულებმა, აღნიშნული კომპანიებით საქმიანობის პროცესში, განიზრახეს სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი, განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისათვის თავის არიდება. ამ მიზნით ისინი საბუღალტრო დოკუმენტებში შეგნებულად არასწორად ასახავდნენ შემოსავლებსა და ხარჯებს, არასწორ მონაცემებს აფიქსირებდნენ საგადასახადო დეკლარაციებში, რითაც საერთო ჯამში სახელმწიფო ბიუჯეტს მიაყენეს 1 200 000 ლარის ზიანი. საგამოძიებო სამსახურმა დანაშაულში მხილებული პირები მოსამართლის განჩინების საფუძველზე დაიკავა.

დამატებით მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები როგორც დაკავებულთა მიერ სხვა დანაშაულებრივი ქმედებების შესაძლო ჩადენის, ასევე ანალოგიური საქმიანობით დაკავებული სხვა კომპანიების ხელმძღვანელ პირთა მიერ შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებების გამოვლენა-დადგენის მიზნით.

საქმეზე გრძელდება გამოძიება. ჩადენილი დანაშაული სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ხუთიდან რვა წლამდე ვადით.

სოჭელ ქალბატონს საქართველოს სიყვარული არ აპატიეს

სოჭელი ქალბატონი ქართველი მეგობრისთვის sms შეტყობინების გაგზავნისთვის გაასამართლეს. ინტერნეტ-პორტალ სოვას ინფორმაციით, რუსეთის მოქალაქემ ოკსანა სავასტიდიმ აგვისტოს ომამდე ცოტა ხნით ადრე ქართველ მეგობარს აცნობა, რომ აფხაზეთის მიმართულებით რუსული ტანკები მიემართებოდნენ, რაც მას სახელმწიფო ღალატში ჩაუთვალეს.

განაჩენი სავასტიდის კრასნოდარის საოლქო სასამართლოს მოსამართლემ ვლადიმერ კობზევმა გამოუტანა, რომელმაც 2013 წელს ანალოგიური ბრალდებით კიდევ ერთი ქალბატონი ეკატერინე ხარებავა გაასამართლა. ჯაშუშობაში ბრალდებულ ხარებავას მან 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა როგორც სააგენტო იტყობინება, ბრალდებული პატიმრობიდან აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკების შედეგად, ვადაზე ადრე გაათავისუფლეს. რაც შეეხება ოქსანა სავასტიდისს, სოვას ცნობით, ის მარტში გაასამართლეს, თუმცა ამის შესახებ ახლახან გახდა ცნობილი.

ნუცუბიძის ქუჩაზე ახალგაზრდა გოგონას მანქანა დაეჯახა

თბილისში ე.წ. ზებრა გადასასვლელზე ახალგაზრდა ქალს მანქანა დაეჯახა. შემთხვევა ნუცუბიძის ქუჩაზე მოხდა. 21 წლის გოგონა რესპუბლიკურ საავადმყოფოში მრავლობითი მოტეხილობებით მოათავსეს. ის საავადმყოფოში მართვით სუნთქვაზეა.

ტაქსის მძღოლი დაკითხვაზე გადაიყვანეს. გამოძიება ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის ფაქტზე მიმდინარეობს.

სსს „თბილისის მონოლითმშენი“ აცხადებს, რომ 2016 წლის 23 დეკემბერს 16 საათზე ქ. თბილისში, წერეთლის გამზ. №57-ში გაიმართება სს-ის საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. 2015 წლის შედეგები;
2. სხვადასხვა.

სსს „თბილისის მონოლითმშენის“ ადმინისტრაცია

სსს „თბილისის მონოლითმშენის“
დირექტორი
ზ. ბურკაძე

ჩასწორება განცხადებაში

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2016 წლის 30 ნოემბრის №223-ში გამოცხადებულ განცხადებაში შეტანილია ცვლილება, კერძოდ მდინარე სტორზე ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის გ.ზ.შ.-ს ანგარიშის განხილვა ნაცვლად სოფელი ლეჩურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობისა, გაიმართება ქ. თელავის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში 23 იანვარს. აღნიშნული გ.ზ.შ.-ს ანგარიშზე შენიშვნების მიწოდების ბოლო ვადაა 13 იანვარი.

შპს „გოტა-21“-ის ადმინისტრაცია.

◎ ფიდეს გრან-პრი

მსოფლიოს ჩემპიონს ვენძიუნი შეხვდება

ნინო ბაციაშვილს მეორე ადგილი ხვდა

ცზიუ ვენძიუნი

ნინო ბაციაშვილი

ხანტი-მანსიისკში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა ფიდეს 2015-2016 წლების გრან-პრის გათამაშების მეხუთე ეტაპი (საპრიზო ფონდი 60.000 ევრო), რომელშიც შვიდი ქვეყნის 12 წარმომადგენელი წრიული სისტემით ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას (მთავარი პრიზი 10.000 ევრო). შეჯიბრებაში სამი ქართველი დიდოსტატიც მონაწილეობდა. მათგან გამოირჩა ევროპის შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, ბათუმელი ნინო ბაციაშვილი, რომელმაც 11 შესაძლებლობიდან 6.5 ქულა მოაგროვა და მეორე ადგილი დაიკავა. მას მხარი ვერ აუბეს ბელა ხოტენაშვილმა და ლელა ჯავახიშვილმა, რომლებიც მათთვის შეუფერებელ ბოლოსწინა ადგილებზე გავიდნენ.

თერთმეტი შესაძლებლობიდან 7.5 ქულით პირველი იყო ცზიუ ვენძიუნი. ამ გამარჯვებით ჩინელმა მოჭადრაკემ მეხუთე ეტაპის მთავარ პრიზთან ერთად 160 ქულაც დაიმსახურა, რითაც ფიდეს გრან-პრის გათამაშებაში სამი რაუნდის ჯამში 413,3 ქულა მოაგროვა და, დებულების თანახმად, 2017 წლის მეორე ნახევარში მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინისთვის იბრძოლებს. მისი მეტოქე 2017 წლის თებერვალში გაირკვევა – ორი თვის შემდეგ ირანის დედაქალაქი თეირანი ნოკაუტ-სისტემით გასამართ ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ტახტის ამჟამინდელი მფლობელი – ჩინელი ჰოუ იფანი თეირანში ტიტულს თუ ვერ ან არ დაიცავს (წინასწარი მონაცემებით, ჰოუ იფანი ირანში ჩასვლას არ აპირებს), მაშინ ახალი ჩემპიონი რამდენიმე თვეში გვირგვინის შესანარჩუნებლად ვენძიუნს დაუპირისპირდება. თუკი თეირანში ცზიუ გახდება ჩემპიონი, მაშინ გრან-პრის მეორეადგილოსან ჰამპი კონერუსთან (ინდოეთი) გაარკვევს ურთიერთობას.

ხანტი-მანსიისკში 11 ტურის შემდეგ საბოლოო შედეგები ასეთია: **ცზიუ ვენძიუნი – 7.5, ნინო ბაციაშვილი – 6.5, ალექსანდრა კოსტენიუკი, ვალენტინა გუნინა, ჰარიკა დრონავალი, ოლგა გირია, სარასადათ ხადემალშარიეხი – 6-6, ნატალია ჟუკოვა – 5.5, ბელა ხოტენაშვილი – 5, ნატალია პოგონინა, ლელა ჯავახიშვილი – 4-4, ელმირა სკრიპჩენკო – 2.5 ქულა.**

ფიდეს ქალთა გრან-პრის 2015-2016 წლების გათამაშებაში სულ 22 მოჭადრაკე ჩაება. გათამაშდა ხუთი ეტაპი. თითოეულმა მოჭადრაკემ (ჰოუ იფანის, სომეხი ელინა დანიელიანისა და ჩინელი თან ჟონის გარდა) სამ-სამ რაუნდში იასპარეზა. მოგროვებული ქულების ჯამით ადგილები ასე განაწილდა: *1. ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი, 413.3 ქულა), 2. ჰამპი კონერუ (ინდოეთი, 335), 3. ვალენტინა გუნინა (რუსეთი, 287), 4. ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 277), 5. ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი, 272), 6. ჟაო სიუე (ჩინეთი, 250), 7. ნინო ბაციაშვილი (245), 8. ანა მუზიჩუკი (უკრაინა, 223.3), 9. მარია მუზიჩუკი (უკრაინა, 220), 10. სარასადათ ხადემალშარიეხი (ირანი, 212), 11. ნანა ძაგნიძე (205), 12. ნატალია პოგონინა (რუსეთი, 195), 13. ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი, 173.3), 14. ჰოუ იფანი (ჩინეთი, 160), 15. ოლგა გირია (რუსეთი, 157), 16. ნატალია ჟუკოვა (უკრაინა, 140), 17. პია კრამლინგი (შვედეთი, 125), 18. ელმირა სკრიპჩენკო (საფრანგეთი, 110), 19. ბელა ხოტენაშვილი (110), 20. ლელა ჯავახიშვილი (100), 21. ელინა დანიელიანი (სომხეთი, 20), 22. თან ჟონი (ჩინეთი, 20).*

ლექსო ცინცაძე

◎ ლეგიონერი

შარაბიძე პარტნიორებს 10 ქულით შეეწია

მაკედონიის ეროვნულ საკალათბურთო ჩემპიონატში მოასპარეზე ქართველი ცენტრალური თავდამსხმელის გიორგი შარაბიძის „ფენი ინდუსტრისიმ“ ზედიზედ მესამე შეხვედრა მოიგო – ამჯერად „პელისტერსი“ დაამარცხა ანგარიშით 83: 60. ამ მატჩში შარაბიძემ 10 ქულა დააგროვა.

მაკედონიის ჩემპიონატს „ფენი ინდუსტრისისა“ და „რაბოტნიჩკის“ სახით ორი ლიდერი ჰყავს, რომლებიც ქულათა მაქსიმუმით პირველ-მეორე ადგილებს ინაწილებენ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ვაი... კბილებისაგან

დისკვალიფიკაცია... კბენისთვის

„კარდიფ ბლუზის“ ქართველმა ბურჯმა ანტონ ფეიქრიშვილმა 6-კვირიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. როგორც ირკვევა, 29 წლის პირველხაზელმა ეს სასჯელი მეტოქის კბენისთვის დაიმსახურა.

შეგახსენებთ, რომ ფეიქრიშვილს უელსურ კლუბთან მოკლევადიანი კონტრაქტი აკავშირებს. ის კარდიფში ირლანდიური „ოლსტერიდან“ გადავიდა, სადაც ასევე მოკლევადიანი ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული, მაგრამ თამაშმა არა და არ მოუწია.

რაც შეეხება დისკვალიფიკაციას, მისი გამომწვევი ეს ერთობ უცნაური საქციელი ანტონმა თავის მეორე მატჩში ჩაიდინა – 18 ნოემბერს, როცა მისი გუნდი ინგლისურ-უელსური თასის მატჩში „ოსპრეიზთან“ დამარცხდა. ფეიქრიშვილმა ერთ-ერთი შერკინებისას მეტოქის მესამეხაზელ რობ მაკკასკერს უკბინა და რეფერიმ ამისთვის წითელი ბარათი აუფრიალა.

ჰოდა, ეს მკაცრი სანქცია – 6-კვირიანი უქმობა ქართველ ბურჯს 22 ნოემბრიდან აუმოქმედეს – ასე ვთქვათ, გასული თარიღით. ეს ნიშნავს, რომ ანტონს 2 იანვრამდე ეკრძალება რაგბის თამაში.

სხვათა შორის, სადისციპლინო კომისიამ „სკარლეტსის“ მესამეხაზელი ჯეკ კონდიც დასაჯა დისკვალიფიკაციით – იმავე საღამოს, როცა ფეიქრიშვილმა მაკკასკერს უკბინა, კონდიმ ნიუპორტელ ვიზავის პანღური ამოარტყა...

კობა კობახიძე

◎ სამთო თხილამურები

ქართველები - იტალიის თოვლიან ტრასებზე

2017 წლის თებერვალში შვეიცარია სამთო მოთხილამურეთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის საქართველოს ნაკრების წევრები – ნინო წიკლაური, იასონ აბრამაშვილი, ალექსი ბენიაიძე, სოსო და ბესარიონ ჯაფარიძეები მწვრთნელების – ვალერიან ჯაფარიძისა და ვახტანგ თედიაშვილის ხელმძღვანელობით ავსტრიასა და იტალიაში ემზადებიან და საერთაშორისო ტურნირებშიც მონაწილეობენ.

იტალიურ სანტა კატერინაში იასონ აბრამაშვილმა გიგანტურ სლალომში პირველ დღეს (2.03,97) მე-8 ადგილი დაიკავა, ალექსი ბენიაიძე (2.04,57) მე-12 იყო, ხოლო სოსო ჯაფარიძე (2.06,30) და ბესარიონ ჯაფარიძე (2.09,36), შესაბამისად, მე-17 და 26-ე ადგილებით დაკმაყოფილდნენ. მეორე ტურნირში ბენიაიძე (1.57,75) მე-9 ადგილზე გავიდა, სოსო ჯაფარიძე (1.57,92) – მეათესა და იასონ აბრამაშვილი (1.57,96) – მეთერთმეტე ადგილზე.

სლალომში შეჯიბრებისას იასონ აბრამაშვილმა პირველ დღეს წუთითა და 26,45 წამით მეხუთე ადგილი დაიკავა. მას მასპინძლებმა – ნიკოლა როტამ (1.23,23), ფრანჩესკო გორიმ (1.24,17), ნიკოლო კოლომბიმ (1.26,01) და დავიდე ბარუფალდიმ (1.26,02) გაუსწრეს. ალექსი ბენიაიძე (1.27,49) მეთერთმეტე იყო, სოსო ჯაფარიძემ დისტანცია ვერ დაასრულა, ბესარიონ ჯაფარიძე კი სტარტზე არ გასულა. მეორე დღეს აბრამაშვილს (1.20,40) ექვსმა მეტოქემ აჯობა, ხოლო სოსო ჯაფარიძე (1.22,78) მე-16 ადგილით დაკმაყოფილდა.

ლაშა დიდია

◎ „ელ კლასიკოს“ წინ

კაზემირო და უმტიტი მზად არიან

მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველი კაზემირო და „ბარსელონას“ მცველი სამუელ უმტიტი „ელ კლასიკოში“ სათამაშოდ მზად არიან – იუწყება ცნობილი ესპანური გამოცემა Marca.

ორივე მოთამაშე დიდი ხნის განმავლობაში ტრავმირებული იყო და დაბრუნება მხოლოდ ოთხშაბათს გამართულ ესპანეთის თასის მატჩებში მოახერხა. ფეხბურთელები დამაკმაყოფილებელ კონდიციებში არიან და თუ მწვრთნელები საჭიროდ ჩათვლიან, ძირითად შემადგენლობაში იქნებიან.

ცნობისთვის: კაზემიროს 18 სექტემბრის შემდეგ არ ჰქონდა ნათამაშები, ხოლო უმტიტის – 6 ნოემბრის.

შეგახსენებთ, რომ „ბარსელონას“ და „რეალის“ დაპირისპირება კატალონიის დედაქალაქში დღეს თბილისის დროით 19 საათსა და 15 წუთზე დაიწყება.

გიორგი ზოთაძე

◎ მცირე მოგონება

დურიფში, ნიკიტა და ფიდელი



ამ დღეებში, როცა კუბაში ფიდელ კასტროს გარდაცვალებასთან დაკავშირებით სამგლოვიარო ღონისძიებები იმართება, ერთი ეპიზოდი გამახსენდა, რომელიც საქართველოში ლეგენდარული კომანდანტეს 53 წლისწინანდელ ვიზიტთანაა დაკავშირებული.

1963 წელს ნიკიტა ხრუშჩოვისა და ფიდელ კასტროს გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის კოლმეურნეობაში ისტორიული სტუმრობიდან ხუთი თუ ექვსი წლის შემდეგ მე, იმხანად ახალგაზრდული გაზეთის კორესპონდენტი, მიმდინარე სამივლინებო საქმეებთან დაკავშირებით ჩავედი. დურიფშის კოლმეურნეობა იმ დროს აფხაზეთში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი, უმდიდრესი, „მილიონერი“ მეურნეობა იყო. ამდენად, ბუნებრივია, რომ დურიფშში ჟურნალისტების ხშირი სტუმრობა არავის უკვირდა.

როგორც იმ დროს იყო მიღებული, კოლმეურნეობაში გუდაუთის კომკავშირის რაიკომის მდივანთან ერთად ჩავედი.

მეურნეობის გაცნობა სოფლის საბჭოში სტუმრობით დავიწყეთ, რომლის თავმჯდომარე მეტად წარმოსადეგი, მაღალი მამაკაცი იყო. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს იგი თავის კაბინეტში ვერ ეტეოდა. ჩვენ თავმჯდომარეს გავესაუბრეთ, შემდეგ კი კოლმეურნეობის მმართველობაში წავედით. ბევრი სხვა კოლმეურნეობის კანტორისგან განსხვავებით, ისე, როგორც მილიონერ კოლმეურნეობას შეეფერებოდა, ის ახალ ორსართულიან შენობაში იყო განთავსებული.

მეორე სართულზე მდებარე თავმჯდომარის კაბინეტში რომ ავდიოდით, კედელზე უზარმაზარი სურათი დავინახე, რომელზეც კოლმეურნეობაში ფიდელ კასტროს სტუმრობა იყო აღბეჭდილი. გავიმეორებ: დურიფშში მე სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმიდან რამდენიმე წლის შემდეგ ჩავედი, რომელზეც ხრუშჩოვი ყველა თანამდებობიდან გაათავისუფლეს, ამიტომაც, ბუნებრივია, თავად ნიკიტა სურათზე აღბეჭდილი არ იყო. სამაგიეროდ, იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარე, იყვნენ მოწინავე კოლმეურნეები — სოციალისტური შრომის გმირები. მოკლედ, ყველანი იყვნენ... ნიკიტას გარდა.

სურათთან შევჩერდი და გულდასმით მისი დათვალიერება დავიწყე. „ეს კაცი ვინღაა, რომელსაც ფიდელი ეხვევა? რა ნაცნობი სახე აქვს!“ — ვკითხე სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს. „ეს მე ვარ!“, — დამორცხვებით მიპასუხა მან. „რას ბრძანებთ?!“ — გავიკვირვე მე, რადგან ტილოზე აღბეჭდილი კაცი ლამის ორი თავით ფიდელზე დაბალი იყო, ჩემი თანამოსაუბრე კი, როგორც ვთქვი, მაღალი კაცი იყო.

„აქ მთელი ამბავი მოხდა, — მომიყვა სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ. — საპატიო სტუმრების კოლმეურნეობაში ვიზიტის შემდეგ, საბჭოს მმართველობამ ამ მოვლენის ამსახველი სურათი ერთ ცნობილ სოხუმელ მხატვარს შეუკვეთა. ბუნებრივია, წინა პლანზე ფიდელი და ნიკიტა უნდა ყოფილიყვნენ. ნახატში დიდძალი ფულიც გადაიხადეს. მაგრამ იმ დროისთვის, როცა სურათი მზად იყო, ხრუშჩოვი უკვე მოხსნეს, მას ვოლუნტარიზმსა და, საერთოდაც, ყველა ცოდვაში დასდეს ბრალი. რა უნდა ექნათ, სურათს ხომ ვერ გადააგდებდნენ?! ბევრი იფიქრეს, იმსჯელეს და, ბოლოს, გადაწყვიტეს, რომ ხრუშჩოვის სახე... რომელიმე სხვა კაცის სახით შეეცვალათ. მაგრამ, ეს კაცი ვინ უნდა ყოფილიყო? ჩვენი კოლმეურნეობის ყველა ცნობილი პირი ამ სურათზე უკვე აღბეჭდილი იყო, მარტო მე არ ვიყავი, რადგან იმ დროს სხვა ადგილას ვმუშაობდი. მაგრამ, არჩევანი მაინც ჩემზე შეჩერდა — ხომ არ შეეძლო ფიდელს ასე გულთბილად ვიღაც რიგითი კაცის ჩახუტება? მოკლედ, სურათზე ხრუშჩოვის სახე მხატვარმა სასწრაფოდ ჩემი სახით შეცვალა. ცხადია, რომ სიმაღლესთან დაკავშირებით მცირე შეუსაბამობა გამოვიდა, მაგრამ, სხვა გამოსავალი არ იყო“.

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა. ძნელი სათქმელია, რა ბედი ეწია სურათს, რომელზეც კუბური რევოლუციის ბელადის ცნობილ აფხაზურ სოფელში ვიზიტია აღბეჭდილი. არც ის ვიცი, იცის კი ვინმემ იმ მცირე „საიდუმლოს“ შესახებ, რომელიც ოდესღაც დურიფშის სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ „გამიმხილა“?

მოკლედ, აი, ასეთი ამბავია.

ვადიმ ანასტასიადი,
გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ მთავარი რედაქტორი.

სანთელი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ აკადემიის თანამშრომელს ლალი ჟვანიას გარდაეცვალა მეუღლე

ზურაბ ჟვანია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ დეპუტატ ანზორ წოწონავას გარდაეცვალა მეუღლე

ლონდა დარსანია

პანაშვიდი 3 XII, 15 სთ-ზე, მისამართი ვუკოლ ბერიძის — 9. გამოსვენება 4 XII, წყნეთის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიდან 14 საათზე.

◎ ინფრასტრუქტურა

ხობი ფოთს უახლოესი გზით დაუკავშირდება

ხობი-ახალსოფელი-ჭალადიდის დამაკავშირებელი 10-კილომეტრიანი გზის მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. 6 მილიონამდე ლარი იხარჯება. ასფალტო-ბეტონის საფარის გარდა მოეწყობა ხიდები, ტროტუარები, ეზოებში შესავლელები, სანიაღვრეები და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურა.

განცხადება

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

აქტიური პროცესები დეკემბერში

ამ თვეში გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია 3-7, 10, 14, 19-22 და 28-30 რიცხვებში. ამ დღეებში შესაძლოა ციკლონებისა და ქარიშხლების წარმოშობა, ყველა სახეობის ავარიულობის მომატება, სეისმური აქტივობისა და სოციუმში დაძაბულობის გაძლიერება.

3 — თხის რქაში მთვარისა და ვენერას შეერთება. სავარაუდოა საყრდენ-სამოძრაო აპარატის სნეულებათა გამძაფრება, შარდსადენი სისტემისა და ფეხების სისხლძარღვთა დაავადებები. გამორიცხული არ არის სტომატოლოგიური პრობლემები, კანის დაავადებები, კუჭის შეკრულობა, ბუასილის გამძაფრება, ლორ-სნეულებები. მოერიდეთ გაციებას, ფეხები სითბოში გქონდეთ, ცივ ამინდში გარეთ ბევრს ნუ ივლით, მოკლედ, ფხიზლად იყავით და ისეთ ვითარებებს მოერიდეთ, რომელთა გამო ჯანმრთელობა შეიძლება შეგერყათ.

5 — მერწყულში მთვარისა და მარსის შეერთება. შესაძლებელია გულისცემის აჩქარების წარმოშობა, გულყრა, ანემია, სისხლის დაავადება და ტრომბოზი. გამორიცხული არ არის უძილობა და თავის ტკივილები. მოერიდეთ ალკოჰოლის მიღებას, გაუფრთხილდით თვალებსა და ნერვულ სისტემას, ნუ გადატვირთავთ ფეხების სახსრებს. უფრთხილდით ცეცხლს, მძიმე და ბასრ საგნებს. სავარაუდოა წარმატებები ინტელექტუალურ მოღვაწეობაში.

7 — თევზების თანავარსკვლავედში მთვარისა და ნეპტუნის შეერთება, მთვარის პირველი მეოთხედი. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ჰაერის ტემპერატურის ცვლილებები. გამორიცხული არ არის ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრება, არტერიული წნევის ნახტომისებრი ცვლილებები. გონებადაბნეულობამ და გულმავიწყობამ შეიძლება გაზარდონ ტრავმასაშიში ვითარებებისა და ქურდობების ალბათობა. გამორიცხული არ არის კანის სნეულებების, ფეხისგულების ტკივილების, ღვიძლთან დაკავშირებული პრობლემების გამძაფრების, ასევე ინფექციურ დაავადებათა შეყრისა და შეშუპებების ალბათობა.

10 — ვერძის თანავარსკვლავედში მთვარისა და ურანის შეერთება. სავარაუდოა მოჭარბებული ფიზიკური და გონებრივი აქტივობა, თავშეუკავებლობა. შესაძლოა თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევის, ასევე სახის, სმენისა და თვალის ნერვების ანთების წარმოშობა. გააკონტროლეთ საკუთარი ემოციები, მოერიდეთ სტრესებს, დაიცავით რეჟიმი, დალიეთ მეტი სუფთა წყალი. სასარგებლოა ზომიერი ფიზიკური ვარჯიში, ფეხით გასეირნება, დასვენება.

14 — სავსემთვარეობა. სავარაუდოა ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრება, წნევის ნახტომისებრი ცვლილებები, მოუსვენრობა, უძილობა, უყურადღებობით გამოწვეული შეცდომები, უბედური შემთხვევები. შესაძლებლობისამებრ უმჯობესია ოპერაციების გადატანა, რადგან სისხლის შედედების უნარი მინიმალურია და შესაძლებელია სისხლდენების წარმოშობა. რეკომენდებულია ხმაურიანი ღონისძიებებისთვის, ზედმეტი ფიზიკური დატვირთვისთვის თავის არიდება. ღვიძლისა და საჭმლის მომნელებელი სისტემის მუშაობის გასაადვილებლად კარგი იქნება დიეტის დაცვა.



21 — მთვარის ბოლო მეოთხედი, მზე თხის რქის ზოდიაქოში გადადის. ყველაზე ხანმოკლე დღე. მძაფრდება ქრონიკული დაავადებები, ორგანოზმში მიმდინარე პროცესები ნელდება. თავი მოარიდეთ გაციებას, დაიცავით დიეტა. ფიზიკური დატვირთვა ზომიერი უნდა იყოს. სასარგებლოა ინფორმაციასთან მუშაობა, ახალი კონტაქტების დამყარება, ძველი საქმეების ბოლომდე მიყვანა, კარგი იქნება საკუთარი გარეგნობის მიხედვა.

22 — სასწორის თანავარსკვლავედში მთვარისა და იუპიტერის შეერთება. შეიძლება წარმოიშვას პრობლემები თირკმელებთან, შარდის ბუშტთან, კუჭქვეშა ჯირკვალთან, ღვიძლთან დაკავშირებით. გამორიცხული არ არის თავის ტკივილები, რადიკულიტი, საჯდომის ნერვის ანთება. სასურველია ალკოჰოლის, მარილიანი და ცხარე კერძების მიღებაზე უარის თქმა, ტკბილეულის ულუფის შეკვეცა და მეტი სუფთა წყლის სმა. თავი მოარიდეთ თეძოების და საშარდე-სასქესო ორგანოთა გაციებას. ესაა სხვადასხვა კულტურისა და რელიგიის წარმომადგენლებთან შეხვედრებისთვის, მოლაპარაკებებისთვის და, ზოგადად, საზოგადოებრივი ურთიერთობებისთვის საუკეთესო დრო. საერთოდაც, ახლა განმარტოებას საზოგადოებაში ყოფნა სჯობს.

◎ „სინათლის წელიწადი“

„ოქროს რაში“ გიგი გეგელაშვილს

გვიანი შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს, თბილისის საკონცერტო დარბაზში ფონდ „იავნანას“ თაოსნობით გაიმართა მორიგი საქველმოქმედო

კონცერტი **„როკ-კანტატა, თაობა XXI, სინათლის წელიწადი“**. პროექტის ავტორი გახლდათ **გიგი გეგელაშვილი**. პროექტში მონაწილეობდა ევგენი მიქელაძის სახელობის საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი **ნიკოლოზ რაჭველის** დირიჟორობით. მათ საოცრად მაღალი დონის კარგი მუსიკა შესთავაზეს მსმენელს, სოლისტები გახლდათ ცნობილი ახალგაზრდა მომღერლები: **ლუკა ზაქარიაძე, სოფო ხალვაში, ოთო ნემსაძე და სოფო ტოროშელაძე.**

ფონდ „იავნანამ“ ტრადიციას არც ახლა უღალატა და ფონდის შვილობილმა **დიტო რაზმაძემ** „ოქროს რაში“ გადასცა გიგი გეგელაშვილს, რომელიც მაყურებელს გვახსოვს ჯერ კიდევ ფილარმონიაში (დორიან კიტიას დროს), წლების მანძილზე ბავშვთა დაცვის დღეს „პატარა ვირტუოზების“ კონცერტს რომ უძღვებოდა თავის უმშვენიერეს დედასთან **ინგა ბერაძესთან** ერთად... მათი დუეტი „საბრძოლო აფხაზეთზე“ ისე შეიყვარა მსმენელმა, რომ იგი ჰიტად იქცა.

XXI საუკუნის თაობამ შესანატრი ამაღლებული განწყობით აღავსო საკონცერტო დარბაზში მობრძანებული მაყურებელი.

ნანა ჭიჭინაძე

ბიჭიც და სპერმაც „განათლებული“ უნდა იყოს?!

ავსტრალიის კვინსლენდის უნივერსიტეტის მეცნიერთა კვლევის შედეგად გაირკვა, რომ სპერმის დონორის არჩევისას ქალები ახალგაზრდა და განათლებულ მამაკაცებს ანიჭებენ უპირატესობას.

არადა, ტრადიციულ ურთიერთობებში ქალები თავისზე უფროს პარტნიორებს უფრო მეტად ირჩევენ, რადგან უპირატესობას მაღალ სტატუსს ანიჭებენ, რომელიც ასაკთან ერთად მიიღწევა.

გამოკვლევაში მონაწილეობდა 1500 ქალი, რომელმაც დონორის სპერმით განაყოფიერების პროცედურა გაიარა. მათ უმრავლესობამ 20 წლის დონორები აირჩია, თანაც ყველა შემთხვევაში უპირატესობას უფრო მაღალი განათლების ცენზის მქონე მამაკაცებს ანიჭებდნენ.

მკვლევართა აზრით, ამის მიზეზი ისაა, რომ განათლების უფრო მაღალი დონის დონორის არჩევისას, ქალები შედარებით მაღალი ინტელექტის მქონე შთამომავლობის გაჩენას ცდილობდნენ.

მსოფლიოში ყველაზე საინტერესო ადგილი

სამოგზაუროდ ყველაზე საინტერესო ადგილად მსოფლიოში დონეგოლის საგრაფო აღიარეს. ამის შესახებ National Geographic Traveller წერს. დენეგოლი ირლანდიის ჩრდილოეთით მდებარეობს და უნიკალური ზღვის პეიზაჟებით გამოირჩვა.მეორე ადგილზე National Geographic-ის რეიტინში ჩილეს დედაქალაქი სანტიაგოა, მესამე პოზიციას კი ჰელსინკი იკავებს.

◎ ინტერნეტიდან

რაფაელას სიკეთე და მოგონებები

იტალიელი მოდელი რაფაელა ფიკო, რომელიც თავის დროზე შავტუხა მარიო ბალოტელისთან „იმასშობოდა“, გაეროს კეთილი ნების ელჩი გახდა და ამიერიდან აფრიკაში ხშირად მოუწევს ჩასვლა და გაჭირვებული აფრიკელების დახმარება, რაც მათ ნამდვილად სჭირდებათ.

როგორც რაფაელამ ჟურნალისტებს განუცხადა, მისთვის მარიო ბალოტელის ხშირად მოუყოლია იმ წერილების შესახებ, რომლებსაც იტალიელ მობურთალს აფრიკიდან მისი ნათესავები თუ ფსევდონათესავები წერდნენ. იმ წერილებში ასახული ამბები იმდენად შემზარავი იყო, რომ რაფაელაზეც ძალიან იმოქმედა.

მიუხედავად იმისა, რომ მარიო ბალოტელისა და რაფაელა ფიკოს შორის შავთან ერთად ლამის ყველა ფერის „კატამ“ გაირბინა, სავარაუდოდ, ბალოტელი როდესაც რაფაელას გადაწყვეტილებას გაიგებს, ძალიან გაუხარდება. სხვა თუ არაფერი, ყველა ადამიანს უხარია, მის ყოფილ გულის სწორზე გავლენა თუ მოუხდენია.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ანეკდოტები

ცოლ-ქმარი დასაძინებლად წვება, თუმცა კაცი დაძინებას ვერაფრით ვერ ახერხებს. „შენც ცხვრის თვლა დაიწყე!“ — რჩევას აძლევს ცოლი, ტრიალდება და იძინებს... სამი საათის შემდეგ ქმარი ცოლს აღვიძებს:

— აბა, ერთი, ჩვენი კალკულატორი, ანდა ფურცელი და ფანქარი მომეცი!..

* * *

კაცი ვაჟიშვილის ოთახში

შედის, კარს საგულდაგულოდ ხურავს და ეუბნება:

— შვილო, უკვე დროა, მე და შენ სექსის საკითხზე დავილაპარაკოთ!

— კი მაგრამ, მამა, მე უკვე 28 წლისა ვარ!

— ჰოდა, მეც მაგას არ ვამბობ! აბა, მაჩვენე ერთი, მობილურში პორნო როგორ უნდა ჩავრთო!..

* * *

ადვოკატმა მოსამართლეს საქმის გადასინჯვის თაობაზე საბუთები მოუტანა. უკმაყოფილო მოსამართლე ეკითხება:

— კი მაგრამ, საქმის გადასინჯვას მაინც რის საფუძველზე მოითხოვთ?

— იმის საფუძველზე, თქვენო ღირსებავ, რომ ჩემს კლიენტს ფული აღმოაჩნდა, რომლის შესახებ მანამდე არაფერი არ ვიცოდი!

* * *

სასკოლო თხზულებიდან თემაზე „ჩემი ოჯახი“:

„მამაჩემი კი მე-10 სართულიდან მეზობელ ბაღში სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობიდან ჩამოტანილ ნიჟარებს ყრის, რომ რამდენიმე მილიონი წლის შემდეგ პალეონტოლოგებს, რომლებიც აქ გათხრებს ჩაატარებენ, ეგონოთ, რომ ჩვენს მთებში ოდესღაც ოკეანე იყო...“

* * *

ამონარიდი ანკეტიდან:

„ახლა კი მე ის ვარ, ვისგანაც ბავშვობაში მშობლები თავის შორს დაჭერას მთხოვდნენ“.

განცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.5871; ევრო - 2.7491;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2561;
100 რუბლი - 4.0403; თურქული ლირა - 0.7469;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4633;
1000 სომხური დრამი - 5.3808.

ამინდი 3 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე -1	დღე +9
მთიანი რაიონები -	ღამე -5	დღე +3
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე 0	დღე +10
მთიანი რაიონები -	ღამე -3	დღე +3
თბილისი:	ღამე 0	დღე +6

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE